# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 12 თებერვალი. 2016 წ. №27 (7919), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ჩასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

სადისკუსიო თემის გაგრძელება

## სახელმწიფოს მართვის რომელი ფორმაა ყველაზე ეფექტური?

6

**კადაფი** ერთადერთი სახელმწიფო მოღვაწე იყო მსოფლიოში, რომელმაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი შესძლო – თითქოსდა, უტოპიური იდეა, კომუნიზმი რეალობად აქცია ლიბიაში;



დიქტატორი <u>პინოჩეტი</u>. 17-წლიანი დიქტატურის შემდეგ, როდესაც მან პოსტი დატოვა, ჩილე ერთადერთი სახელმწიფო იყო დასავლეთ ნახევარსფეროში საგარეო ვალის გარეშე.

ენერგეტიკული რესურსების (ნავთობი, გაზი) არმქონე ბელარუსი ერთადერთი სახელმწიფოა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ხარჯზე, და, რაც უმთავრესია, სამართლიანი(!) „დიქტატორის“ <u>ლუკაშენკოს</u> ხელში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე და სანიმუშო წესრიგი შეინარჩუნა

<u>რენი სილვა:</u> **ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებასაც აძლიერებს**

2



**სააკაშვილის წინააღმდეგ უკრაინაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა**

2

**მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ახალი კანონპროექტის საფრთხეები**

4



3

## დაკავებიდან 48 საათი...

## როგორ ექცევიან პოლიციელები ბრალდებულს?

როცა ხალხი ბრაზობს

## გაჭიფხულმა უნდა შევყვირო!

**ვეკითხებით ეგრეთ წოდებულ ჟურნალისტ ნათია კობერიძეს და კონსტიტუციონალისტ ვახუშტი მენაბდეს**

– **აგერ** ახლახან ერთი საქმეგამოლეული ტელევიზიის ეკრანზე ვითომ ჟურნალისტი ნათია კობერიძე, რომელიც „მოდელირებული ქრონიკიდან“ უნდა გახსოვდეთ, და ვითომ კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე თავგადაკლულნი იცავდნენ ერთსქესიანთა ქორწინებას.

– რაო, რა გვინდაო?

– რაო და, კონსტიტუციაში უნდა შევიტანოთ ჩანაწერი, რომ როგორც კაცსა და კაცს, ისე ქალსა და ქალს, ჯვრისწერა თუ არა, რეგისტრაციაში გატარების უფლება მაინც უნდა ჰქონდეთო... არადა, ცივილიზებულ ევროპაში ისე გაგვიჭირდება შესვლაო... ცივილიზაცია, ამ ზოგიერთებს რომ ყური დაუგდო, როგორც ჩანს, მაინცდამაინც უკანატანთან ყოფილა უშუალო კავშირში...







– ყველაფერი გასაგებია. მაშინ, თუ ძმა ხარ, რაკი ხმა მიგიწვდება, მიდი ერთი მაგ ძალად თავგაჟურნალისტებულ შუმ ნაციონალ ნათიას ჰკითხე, **მაგის ქალიშვილმა ანამ დედის სეხნია ვინმე ნათია რომ ჩაუსიძევოს, ხოლო მაგ მენაბდეს ბიჭი თუ ჰყავს, იმ ბიჭმა რძლად თავისი სეხნია, ვინმე ვახუშტი რომ მოუყვანოს,** რა ხასიათზე დადგება, ან ერთი, ან მეორე?

– მაშ, მოდი ერთად შევეკითხოთ: მოდელირებულო ვითომ ჟურნალისტო ნათია კობერიძე და უცხოეთიდან საეჭვოდ დაფინანსებულო წვერულვაშდამშვენებულო კონსტიტუციონალისტო ვახუშტი მენაბდე, **ქალისა და ქალის თუ ვაჟისა და ვაჟის ქორწინების დროს** – ლაპარაკია ვაჟ რძალსა და ქალიშვილ სიძეზე, – **თქვენ ვითომ ისევ დედამთილად და მამამთილად დარჩებით?!...** ბებიობა და პაპა-ბაბუობა რომ არ გეღირსებათ, ეს ცხადზე ცხადია!

– ჩანს, სწორედ ასეთი რთული ვითარების დროს შესძახა ცნობილი შექსპირის გმირმა: საკითხავი აი ეს არისო!...

– ვაი, ვაი, რომ ეს კითხვა თუ საკითხავი საერთოდ ისევ ძალაშია, თანაც ჩვენს ისედაც ყველანაირად გაბერწებულ საქართველოში ათასი გადაჯიშებული ოხრისა და მამაძაღლის ფრიად საეჭვო დასავლურ-ამერიკული ძალისხმევის წყალობით თანდათან ძალასაც იკრებს მთელი ჩვენი „ბედნიერი ერის“ საუბედუროდ...

**– ამიტომ მინდა, რომ სხვათა ფეხის ხმას ავად აყოლილი ქართველობის ყურების გამოსაჩიჩქნად გაჭიფხულმა შევყვირო: ხალხო, თავს ნუ იღუპავ, თუ რამ ტვინი შეგრჩენია, უფრო მეტად გაანძრიე და იმ ერთი რეგვენივით ნუ იქცევი, საქმე რომ წაახდინა და ფათერაკს დააბრალა!...**

ამ მძიმე საუბარს ყური მოჰკრა

**გურამ წიკლაურმა**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.482; ევრო - 2.792;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.599;
100 რუბლი - 3.151; თურქული ლირა - 0.847;
აზერბაიჯანული მანათი - 1.572;
1000 სომხური დრამი - 5.013

**ამინდი 12 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთ საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -4, | დღე +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8, | დღე +10 |
| **დასავლეთ საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -2, | დღე +13 |
| თბილისი: | ღამე 0, | დღე +12 |


**ჩვენი მისამართია:**

თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

# კალაძე შეშფოთებულ კლაპერს აიმედებს



**„არავის აქვს ილუზია, რომ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდებარეობის გამო, ჩვენ არ შევდივართ ისეთი მეზობლის ინტერესების სფეროში, როგორიცაა რუსეთი“,** — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ აშშ-ის დაზვერვის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის შეფასებისას. მისი თქმით, ამ დოკუმენტში საქართველოს მხარდაჭერაა გამოხატული.

**„აშშ-მა რეალურად და ობიექტურად შეაფასა ის საფრთხეები, რაც შეიძლება პროპაგანდისტული მიმართულებით გაძლიერდეს საქართველოში, მითუმეტეს საარჩევნო წელია. ჩვენ ძალიან ვაფასებთ ჩვენი მეგობრების თანადგომას და ამ ანგარიშს განვიხილავთ როგორც დახმარების, მხარში დგომის ფაქტს. არავის აქვს ილუზია, რომ ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდებარეობის გამო, ჩვენ არ შევდივართ ისეთი მეზობლის ინტერესების სფეროში, როგორიცაა რუსეთი. ჩვენი ხელისუფლება, მეგობრების დახმარებით მუშაობს რუსული პროპაგანდის საპირისპიროდ და ერთობლივი ძალისხმევით, პროცესი კონტროლის და ყურადღების ქვეშაა. საქართველოს მოსახლეობამ მტკიცე არჩევანი გააკეთა ევროატლანტიკური სივრცის სასარგებლოდ და ამ არჩევანის შეცვლას არც საზოგადოება და არც მთავრობა არ აპირებს“,** — განაცხადა კალაძემ.

აშშ-ის ეროვნული დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის ჯეიმს კლაპერის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ელიტებსა და საზოგადოებაში იმედგაცრუების ზრდა, დასავლეთთან ინტეგრაციის შენელებისა და ეფექტური რუსული პროპაგანდის ზრდასთან ერთად, ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ თბილისმა, შესაძლოა, შეანელოს ან შეწყვიტოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მცდელობები.

# განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაცია და აპოსტილით დამოწმება შესაძლებელია

**საქართველოს მთავრობამ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა, რომელიც განათლების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებასა და ლეგალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას ითვალისწინებს. ამ მიზნით განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებას მოქალაქეები იუსტიციის სახლებში შეძლებენ.**



დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მოქალაქეებს ამ სერვისით სარგებლობა მხოლოდ თბილისში შეუძლიათ, რეგიონებში კი იგი ხელმისაწვდომი არ არის.

იუსტიციის სახლებში მომსახურების გადასვლის შემდეგ საქართველოს ყველა რეგიონის მცხოვრებნი, სადაც იუსტიციის სახლის ფილიალები, საზოგადოებრივი ცენტრები და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები ფუნქციონირებს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებას რეგიონიდან, ქალაქიდან და დაბიდან გაუსვლელად შეძლებენ; ეს კი მათ მოუხსნის ხანგრძლივი მგზავრობის საჭიროებას და ექნებათ საშუალება, დაზოგონ დრო და ფინანსები, ხოლო მომსახურება უფრო კომფორტულად და სწრაფად მიიღონ.

ამიერიდან განათლების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება და ლეგალიზაცია, თბილისის გარდა, შესაძლებელი იქნება იუსტიციის სახლის 15 ფილიალში და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 14 ტერიტორიულ სამსახურში. მომსახურებას ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღებენ ახალციხის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, თელავის, თიანეთის, მარნეულის, მესტიის, ოზურგეთის, რუსთავის, ფოთის, ყაზბეგის, ყვარლის, ბათუმის, ქუთაისის, ახალქალაქის, ბორჯომის, დმანისის, ვანის, კასპის, ნინოწმინდის, სენაკის, ქარელის, ქობულეთის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, წალკის, ხაშურის მცხოვრებნი.

აპოსტილისა და ლეგალიზაციის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა. როგორც სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული, ამ სერვისის იუსტიციის სახლებში გადატანა მნიშვნელოვნად აადვილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.

# რენი სილვა: ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებასაც აძლიერებს



**ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ბლოგში ნათქვამია, რომ რამდენჯერაც შეერთებულმა შტატებმა სთხოვა სახელმწიფოებს წვლილი შეიტანონ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, საქართველომ თხოვნას უპასუხა.**

„ავღანეთი იქნება ეს თუ ერაყი, აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ამ პატარა ქვეყანამ გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა გააძლიერა“, — ნათქვამია სტატიაში.

სტატიის ავტორი, ანალიტიკოსი რენი სილვა აღნიშნავს, რომ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის მხრივ, საქართველო აშშ-ის შემდეგ ყველაზე დიდი კონტრიბუტორია, ხოლო ქართველი ჯარისკაცები მსახურობენ წინასწარი შეთანხმებების გარეშე, რაც ნიშნავს, რომ მათი ჩართვა შეიძლება ნებისმიერ მისიაში, მათ შორის პირდაპირ საბრძოლო მოქმედებებში.

რენი სილვა წერს, რომ ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა საქართველოში და გორში მდებარე სამხედრო ჰოსპიტალის დათვალიერებისას თავად დარწმუნდა, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ამერიკული პროგრამები, რომლის ფარგლებშიც აშშ ეხმარება საქართველოს სამხედრო სამედიცინო დაწესებულებების გაძლიერებაში.

სტატიის ავტორის თქმით, აშშ-ის დახმარებით ვითარდება საქართველოს სამედიცინო სისტემაც, ხოლო საქართველოს მთავრობა აპირებს ამ დარგის ეფექტურობის გაძლიერებას.

რენი სილვა ხაზს უსვამს იმასაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით, საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებასაც აძლიერებს.

# მიშამ თხარა, თხარა...

## სააკაშვილის წინააღმდეგ უკრაინაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამინდელი ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ უკრაინაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**

როგორც ანტიტერორისტული ოპერაციის შტაბის ხელმძღვანელი ანდრეი ლისენკო ამბობს, მას ბრალი სამხედრო საიდუმლოების გაცემაში ედება.

საუბარია იმ ფაქტზე, რომ მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც კარგად ჩანან წინა ხაზზე მყოფი უკრაინელი სამხედროები და მათი პოზიციების განლაგება. როგორც ლისენკო ამბობს, მსგავსი რამ ჟურნალისტებსაც ეკრძალებათ, ამ შემთხვევაში კი ვიდეო თავად სახელმწიფო მოხელემ გამოაქვეყნა.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ზორიან შირიაკის განცხადებით, ამ ფაქტით სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა უნდა დაინტერესდეს.

ეს ინფორმაცია Украинська правда-მ გაავრცელა.

◎ დილემა

# ქართველი მათხოვრები

## ბავშვებს ვეხმარებით თუ დანაშაულს ვაქეზებთ?!

**ჩვენი გაზეთი უკვე წერდა იმის შესახებ, რომ მათხოვარი არასრულწლოვანებისთვის ფულის მიცემა დანაშაულის ტოლფასია. რადგან არავინ იცის, პატარები შეგროვილ თანხას რა მიმართულებას მისცემენ: საკვებს იყიდიან, მართლა ოჯახში მიიტანენ ვითომდა ავადმყოფი მშობლის სარჩენად თუ „შეფს“ ჩაუყრიან ჯიბეში? ასე რომ, ამ ქველმოქმედების უკან შესაძლოა, სერიოზული დანაშაულის წაქეზებაც იმალებოდეს, რომლის ხელშემწყობნიც ჩვენი გულმოწყალებით ძალაუნებურად ვხვდებით ხოლმე.**

თბილისის ქუჩებში გვხვდებიან მათხოვრები, რომელთა შორისაც მრავლად არიან მიგრანტები, ამბობენ, რომ ბევრი აზერბაიჯანიდან და მეზობელი ქვეყნებიდან დაბრკოლების გარეშეც კი გადმოდის, თუმცა, ამჯერად ჩვენი ფოტოობიექტივის „გმირები“ ქართველი მათხოვარი ბავშვები არიან. თავისუფლების მოედანზე, გრიბოედოვის თეატრის წინ, 5-6 წლის პატარები დგანან. ზოგი სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავს, ზოგი დაუდევრად გექაჩება და მოწყალებას ითხოვს. ბევრი არაფერი გაგვიმხილეს საკუთარ ცხოვრებაზე, გარდა დაზეპირებული ფრაზებისა: იძულებულები გავხდით სამათხოვროდ გამოვსულიყავით, ძალიან გვიჭირს, რა ვქნათ, სხვა გზა არა გვაქვსო.

ძნელია, გულგრილად აუარო გვერდი პატარებს, იქნებ, მართლა შიათ და ამ სიცივეში ის გაღებული გროში გახდეს მათთვის არსებობის საზრდო? მაგრამ იქვე გლრლნის ჭია, ვაითუ, ამ გზით დანაშაულს ახალისებ და იმას აფინანსებ, ვინც ამ ბავშვებით ექსპლოატაციას ეწევა?!

მოკლედ, აუცილებელია, სახელმწიფომ რაღაც ფორმით იზრუნოს ამ პრობლემაზე და ერთხელ სამუდამოდ საკანონმდებლო დონეზე მოაწესრიგოს ესოდენ საჩოთირო საქმე!!!

**ნია ფიფია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



**⊙ საპროცესო უფლებები**



# დაკავებიდან 48 საათი – ყველაზე უკონტროლო პერიოდი

**თითქმის ასი შემთხვევა მოხდა გასულ წელს, როდესაც მოსამართლემ პირი გაათავისუფლა მხოლოდ იმის გამო, რომ დაკავება მოხდა კანონდარღვევით. საქართველოში რთულია, განსაზღვრო ათვლის წერტილი, როდის მოხდა დაკავებულის თავისუფლების შეზუდვა, რადგან სანამ პოლიციელები ბრალდებულს დაწესებულებაში გადაიყვანენ, მანამდე „ასეირნებენ“. ეს ის დროა, როდესაც ხდება პირის დამუშავება, მტკიცებულებების მოპოვება... მაგრამ რა ხდება ამ დროს, ხომ არ ხდება ადამიანის უფლების შელახვა, ამას არავინ ამოწმებს. მით უმეტეს, თუ პირი მტკიცებულებათა არქონის გამო გაათავისუფლეს, ის მოსამართლესთან არც მიჰყავთ. შესაბამისად, დაკავების მომენტში დაშვებულ დარღვევას ყურადღებას არავინ აქცევს.**

ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი 2 თვის განმავლობაში სწავლობდა დაკავებულთა უფლებრივ მდგომარეობას თბილისში, ქუთაისსა და თელავში. პროცესში ჩართული იყო შს სამინისტროც.

ანალიტიკური კვლევა ჩაატარეს ღია საზოგადოების ფონდებმა მოლდოვასა და უკრაინაში. ეს ქვეყნები იმ ნიშნით შეირჩა, რომ ყოველი მათგანი ახორციელებდა სისხლის სამართლის ძირეულ რეფორმას. იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყნების კონსტიტუცია, კანონმდებლობები და კოდექსები ადეკვატურად განსაზღვრავს ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირების საპროცესო უფლებებს, არსებობს პრობლემების მთელი სპექტრი, რომელიც ხელს უშლის მათ პრაქტიკაში განხორციელებას.

ექსპერტი **ბესარიონ ბოცაშვილი** ამბობს, **„ახალი სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია, რომ ბრალდებულის დაკავების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულს დაკავებიდან 48 საათში უნდა წაუყენონ ბრალი. სწორედ ეს პერიოდია ყველაზე უკონტროლო პერიოდი, როცა ძალიან ხშირად ილახება ადამიანის უფლებები. ჩვენ აღმოვაჩინეთ შეთხვევები, როდესაც პოლიციამ ქუჩაში დააკავა პირი, მაგრამ სანამ პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანდა, პოლიციის მანქანაში ატარებდა „გასაუბრებას“. არადა, არც სისხლის სამართლის კოდექსი ან რაიმე სხვა აქტი არ განსაზღვრავს „გასაუბრების“ პროცედურას. პირი შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის სტატუსით. „გასაუბრება“ პოლიციის თვითნებური ქმედებაა“.**

## როგორ ექცევიან პოლიციელები ბრალდებულს?

ნებისმიერი პირი სარგებლობს მინიმალური სამართლებრივი გარანტიებით. აღკვეთის პირველივე წუთიდან უნდა მიიღოს ინფორმაცია დაკავების მიზეზებისა და დასაბუთების შესახებ. ეს ინფორმაცია აუცილებელია, მიიღოს მისთვის გასაგებ ენაზე. მას უფლება აქვს, ჰყავდეს სამართლებრივი წარმომადგენელი – ადვოკატი. ასევე, კანონი განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას. ექსპერტების ანგარიშში ნათქვამია: **„როდესაც პირი ადვოკატს ითხოვს, ზოგჯერ პოლიციის მოხელეები აშკარად გამოხატავენ უკმაყოფილებას. მათ მიაჩნიათ, რომ ადვოკატის ჩართვით პროცესი გაჭიანურებული და გამაღიზიანებელი ხდება. პრობლემას წარმოადგენს ადვოკატთან დაკავშირება. მაგალითად, პოლიციელები ბრალდებულს აძლევდნენ მობილურ ტელეფონს და სთავაზობდნენ, დაერეკა ადვოკატთან, მაგრამ გამომძიებლის ტელეფონის ანგარიშზე თანხა არ იყო. გამომძიებელი აგრძელებდა დაკითხვას და არწმუნებდა ბრალდებულს, რომ ადვოკატი მოგვიანებით იქნებოდა ხელმისაწვდომი. ასევე ადვოკატები აცხადებდნენ, რომ ზოგიერთი გამონაკლისის შემთხვევაში, გაურკვეველი მიზეზებით მათ დაკავებულთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლებას არ აძლევდნენ“.**

აღმოჩნდა, რომ თარჯიმანსა და თარგმნაზე ხელმისაწვდომობის უფლება, პრაქტიკულად, განუხორციელებელი საკითხია. მაგალითად, ექსპერტი **გიორგი მშვენიერაძე** იხსენებს, რომ ქუთაისში პოლიციელები თვითონ ეძებდნენ ადამიანს, რომელმაც მაგალითად, რუსული ენა იცოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ამისთვის სუპერმარკეტის გამყიდველი გამოუყენებიათ. განსაკუთრებით ხშირად აწუხებენ პედაგოგებს. ისინი ღამის საათებშიც კი გაუღვიძებიათ და თარგმნა უთხოვიათ. **„სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა გააუმჯობესონ მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის მენეჯმენტი და უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობების ენაზე. უნდა შეიქმნას მინიმალური გარანტიები, რომ თარგმნის ხარისხი აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს“,** – აცხადებს ექსპერტი.

თითქმის იდენტური პრობლემებია მოლდოვასა და უკრაინაში. ექსპერტ ირაკლი ყანდაშვილის თქმით: **„სამივე ქვეყანაში კანონი უზრუნველყოფს ადვოკატის დასწრების უფლებას. ამის მიუხედავად, უკრაინაში საქმეების თითქმის ნახევრის შემთხვევაში პირველი დაკითხვა ადვოკატის გარეშე მიმდინარეობს. მოლდოვაშიც პოლიცია ხშირად არაფორმალურად კითხავს ეჭვმიტანილს, პატიმრობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტის გაფორმებამდე. ან ცდილობს, ეჭვმიტანილს გადააფიქრებინოს ადვოკატის დახმარება. მაგალითად, ეუბნება, რომ ეს ძვირი ეღირება“.**

რატომ აკეთებს ამას პოლიცია? ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირია „დამნაშავე“. **„ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს წარსულის სამართლებრივ და კულტურულ კონტექსტზე დაფუძნებულ ტრადიციულ ქცევას. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია დღევანდელი ინსტიტუციური მოტივაცია. მაგალითად, დაკავებისა და მსჯავრდების მიზნები და დაწინაურების კრიტერიუმები“** – ნათქვამია ანგარიშში.

საქართველოში 5 ათასამდე ადვოკატია, აქედან 4 ათასზე მეტი აქტიურად არის ჩართული საქმიანობაში. ადვოკატთა ერთი მესამედი სისხლის სამართლის მიმართულებით მუშაობს. ამდენად ადვოკატის სწრაფი ხელმისაწვდომობა პრობლემა ნამდვილად არ უნდა იყოს! ირაკლი ყანდაშვილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ კანონმდებლობის დახვეწაზე უნდა იზრუნოს. **„მნიშვნელოვანია ბრალდებულმა პირველივე წამიდანვე გამოიყენოს ადვოკატის მომსახურება. ეს უნდა იყოს შემუშავებული საკანონმდებლო დონეზე, უნდა შეიქმნას უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის გეგმა. ნამდვილად არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული პოლიციელის მობილურზე“,** – დასძენს ის.

**თეა მოსია**

**⊙ ამასაც თუ ცხოვრება ჰქვია**

# იაფი წამლების მოლოდინში

**სხვა დროსაც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები რეალურისგან უამრავ შემთხვევაში განსხვავდება, ძალიან ხშირად ერთობ საგრძნობლადაც. როგორც ჩანს, საქმე ამ ჯერზეც ასეა, რადგან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ახალი წლის შემდეგ განვლილი ერთი თვის განმავლობაში ინფლაციის დონემ მხოლოდ 5,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით მეტად „სასაცილო“ 0,9-პროცენტიან დონესაც არ გასცდენია!**



არადა, ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ ინფლაცია გაცილებით დიდია, ფასები უსაშველოდაა გაზრდილი უპირველესი მნიშვნელობის საქონელზე, უწინარესად სურსათსა და სამკურნალო საშუალებებზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელი 5,6 პროცენტზე მეტი არ არის, მას, მეტნაკლებად, ნავთობპროდუქტებზე ფასების გარკვეული შემცირება ბოჭავს, თუმცა კი, ჩვენში მათი ფასი მსოფლიო ნავთობპროდუქტებზე მიმდინარე მოვლენების შეუსაბამო რომაა, ესეც ყველასთვის კარგადაა ცნობილი. თუ ბოლო თვეების ფასების მაჩვენებლებს გადავხედავთ, ყველაზე მეტად ჩვენში გაძვირდა... ხილი (მათ შორის ყურძენი) – 33,9 პროცენტით, მცენარეული ზეთი და სხვა ცხიმები – 10 პროცენტზე მეტით, სურსათი და უალკოჰოლო სასმელები – ამ კატეგორიაში ფასები, საშუალოდ, 5-პროცენტიან ნიშნულს კარგა გვარიანადაა გადაცილებული.

ცალკე აღსანიშნავია მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა. ამ სფეროში სამკურნალო პრეპარატების და მოწყობილობათა ფასები 22,6 პროცენტით გაიზარდა, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება კი 11,2 პროცენტით.

ასევე გაზრდილია მოსახლეობის მთლიანი კომუნალური ხარჯი, რამაც, საშუალოდ, 8,4 პროცენტი შეადგინა. ყველაზე საგრძნობი მატება ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზეა – დაახლოებით 10,6 პროცენტი, თუმცა, ფასების მატება სხვა სასაქონლო ჯგუფებშიცაა.

ახალი წლის შემდეგ ფასების მატება სურსათის არსებითად ყველა ჯგუფში იყო საგრძნობი, მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, ხილზე, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე, რძეზე, ყველსა და კარაქზე.

ფასების მატებაზე ლაპარაკი, ცხადია, გაუთავებლად შეიძლება, რადგან ამაზე მტკივნეული თემა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვაა. სხვათა შორის, ყველაზე დიდ შეშფოთებას ხალხში სწორედ ეს კატეგორია იწვევს, განსაკუთრებით კი მისი სამკურნალო პრეპარატების მდგენელი. დიდი მოლოდინის მიუხედავად, „ჰუმანა ჯორჯიას“ დაპირებული იაფიანი მედიკამენტები საქართველოს არც ერთ სააფთიაქო ქსელში არ გამოჩნდა, არადა წლის ცივ პერიოდში მომძლავრებული ვირუსული ავადმყოფობების გამო, ყველაზე მაღალი მოთხოვნა სწორედ მათზეა.

**ოთარ ტურაბელიძე**

**⊙ ალიან-ჩალიანი**

## გია ჟორჟოლიანი: „ნაციონალური მოძრაობა“ თუ ამბობს, რომ ცუდია, ე.ი. მართლა კარგია!



**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი გია ჟორჟოლიანი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის დენდროლოგიურ პარკში ასწლოვანი ხეების გადარგვით, კარგი საქმე კეთდება.**

**„ვფიქრობ, რომ კეთდება კარგი რამე. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც კარგი რამე კეთდება. ნაციონალური მოძრაობა რომ ამბობს, რომ ცუდია, ე.ი. ეს თავისთავად უკვე კარგია. ასეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა“, – განაცხადა აღნიშნული საკითხის კომენტირებისას ჟორჟოლიანმა. ციხისძირში დაკავებული აქციის მონაწილეები ამ დრომდე წინასწარი დაკავების იზოლატორებში რჩებიან. პარტიზანი მებაღეები და ქობულეთისა და ბათუმის საკრებულოების დეპუტატები სასამართლო პროცესს ელოდებიან. მათ ჯარიმა ან 15 დღემდე პატიმრობა ემუქრებათ.**

## კარგი ბიჭი ხარ და ანი დაემუქრე ადვოკატს!..

**ადვოკატის საქმიანობისთვის ხელის შეშლა, მისი ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა ან ძალადობა დასჯადი ხდება – აღნიშნულს ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლის განხილვას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი იწყებს.**

**სიახლე კანონდამრღვევი პირისთვის ჯარიმას ან ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. კანონპროექტი ადვოკატებთან ერთად, ეხება პროკურორებსა და გამომძიებლებსაც. ინიციატივის ერთ-ერთი ავტორია „ადვოკატთა ასოციაცია“.**

**ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი**

№27. პარასკევი, 12 თებერვალი, 2016 წელი.

◉ ვითარება



# ვიდრე პროექტი კანონად იქცეოდეს...

## მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული ახალი კანონპროექტის საფრთხეები

**საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია ხელისუფლების ახალი ინიციატივა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით: სახელმწიფო საკუთრებად დაირეგისტრირებს ყველა იმ მიწის ნაკვეთს, რომელზეც, საჯარო რეესტრის მონაცემებით, სხვა პირის უფლება არ დგინდება. დაინტერესებულ პირებს ექნებათ 1-წლიანი ვადა იმისათვის, რომ მოითხოვონ სახელმწიფოს საკუთრების გაუქმება და კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე მათი უფლების რეგისტრაცია.**

ამ ინფორმაციას იმთავითვე საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის საკმაოდ კრიტიკული რეაქცია მოჰყვა. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა მოკლე ანგარიში, რომელშიც შეფასებულია კანონპროექტის რისკები. ანგარიშის თანახმად, დღესდღეობით პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საჯარო რეესტრი ვერ ახერხებს რეგისტრირებული უძრავი ქონების ადგილმდებარეობის დადგენას. ამის მიზეზი ისაა, რომ 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი დარეგისტრირდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, სათანადო საკადასტრო ინფორმაციის გარეშე. სამწუხაროდ, შემოთავაზებული კანონპროექტი ამგვარი მესაკუთრეების დაცვის მექანიზმს არ ითვალისწინებს.

ორგანიზაცია ეჭვობს, რომ ხარვეზიანი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მქონე პირები დაკარგავენ მიწაზე საკუთრების მოპოვების შესაძლებლობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი მრავალი წლის მანძილზე ფლობს მიწის ნაკვეთს, თუმცა, ვერ ახერხებს საკუთრების რეგისტრაციას ხარვეზის შემცველი, დაკარგული ან განადგურებული დოკუმენტაციის გამო. კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთი შემთხვევებისათვის გამარტივებული რეგისტრაციის პროცედურებს. შესაბამისად, 1-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ასეთი პირები დაკარგავენ ყოველგვარი მოთხოვნის უფლებას და ის მიწა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ფლობდნენ და ამუშავებდნენ, სახელმწიფოს საკუთრებაში გადავა.

ანგარიშის თანახმად, არსებობს საფრთხე, რომ იმ პირებმა, რომლებიც ფლობენ სარეგისტრაციო დოკუმენტაციას, შესაძლოა 1 წლის ვადაში ვერ მოახერხონ საკუთრების რეგისტრაცია. დღეის მდგომარეობით, სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების სარეგისტრაციოდ გასაწევი ხარჯების (აზომვითი სამუშაოები, არქივიდან დოკუმენტების მოძიება და სხვ.) ოდენობა 1 ჰა მიწის ნაკვეთისთვის, საშუალოდ, 300 ლარს შეადგენს, რაც, თავისთავად ცხადია, ბარიერი იქნება არაერთი მოქალაქისთვის.

შეიძლება საკადასტრო საზღვრების გადაფარვისა და მსგავსი საკითხებით გამოწვეული სასამართლო დავების ოდენობა გაიზარდოს, რადგან, დღეის მდგომარეობით, აზომვითი ნახაზების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა მთლიანად მესაკუთრეს და კერძო საამზომველო კომპანიას ეკისრება, წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების სიზუსტის გადამოწმების მექანიზმი კი საჯარო რეესტრს არ გააჩნია.

არსებობს მიწის ბაზრის განვითარებისა და საინვესტიციო გარემოს გაუარესების საფრთხე. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ სახელმწიფო განკარგავს მიწის ნაკვეთებს, რომელზეც კერძო პირებს აქვთ მოთხოვნის უფლება. ასეთ შემთხვევებში გარდაუვალი იქნება სასამართლო დავები.

არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში მოითხოვს სახელმწიფო მიწის ნაკვეთის განკარგვის აკრძალვას.

თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება მნიშვნელოვნად გართულდება. კანონპროექტის შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებად შეიძლება დარეგისტრირდეს თვითნებურად დაკავებული მიწაც, რომელიც ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას. თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების პროცედურის ხანგრძლივობიდან გამომდინარე კი, დაინტერესებულმა პირმა შესაძლოა, კანონპროექტით დადგენილ 1-წლიან ვადაში საკუთრების უფლების რეგისტრაცია ვერ უზრუნველყოს.

**ნინო ევგენიძე**

◉ ინფორმაცია

## მაქსიმალურად გამოვიყენოთ ინვესტიციებიდან შემოსული თანხა



**ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, მთავრობა არის გარანტი იმისა, რომ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების თითოეული ცენტი მაქსიმალურად იქნება გამოყენებული.**

**როგორც კალაძემ სასტუმრო „რედისონში“ საქართველოს თანაინვესტირების ფონდი სავაჭრო ცენტრ — „გალერეა თბილისის“ პროექტის ოფიციალურ პრეზენტაციაზე განაცხადა, დაარსების დღიდან თანაინვესტირების ფონდი ქვეყნის ეკონომიკის სექტორში არაერთ მასშტაბურ და მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.**

**კახა კალაძის თქმით, თანაინვესტირების ფონდის ძალისხმევით მრავალი წლის განმავლობაში გაჩერებული პროექტი განახლდა და დედაქალაქს 2017 წლის სექტემბერში „გალერეა თბილისის“ სახით თანამედროვე არქიტექტურის კიდევ ერთი გამორჩეული ნიმუში შეემატება.**

**ვიცე-პრემიერის განცხადებით, პროექტი ხელს შეუწყობს ინვესტიციების ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ მეზობლები

# საფრთხე მეტი იქნება თუ სარგებელი?

**რას უქადის საქართველოს ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება?! ამის შესახებ ექსპერტების აზრი კატეგორიულია და მოიცავს, როგორც უდიდეს საშიშროებას ჩვენი ქვეყნისთვის, ისე — სამომავლო მიმზიდველ პოტენციალს ჩვენი ეკონომიკისთვის.**

**ქართული მხარის ინიციატივით, საქართველოს პრემიერსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს შორის სატელეფონო საუბარი უკვე შედგა. გიორგი კვირიკაშვილმა და ჰასან რუჰანიმ ორი ხალხის მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებთან ერთად ტურიზმის სფეროში თანამშრომლობასა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზეც ისაუბრეს.**

ეს ურთიერთობა კონკრეტულ ციფრებში შემდეგნაირად აისახება. კერძოდ, საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვა 2012-13 წლებში 200 მილიონი დოლარის ფარგლებში იყო, დღეს კი 130 მილიონამდეც არაა. უფრო მეტიც: თუმცა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ არაერთხელ დადო დასკვნა იმის თაობაზე, რომ ირანის ბირთვულ პროგრამებში სამხედრო მიზნები არ შეინიშნებოდა, დასავლეთი მაინც აგრძელებდა ანტიირანულ კამპანიას და ამ კამპანიის გამო ბევრი ქვეყანა ერიდებოდა ირანთან ურთიერთობას. საბოლოოდ ეს ურთიერთობა ირანის დიპლომატიური გამარჯვებით დასრულდა და აღმოჩნდა, რომ ირანი გაგებით მოეკიდა საქართველოს მაშინდელ გაციებულ დამოკიდებულებას მის მიმართ.

**რატომ უნდათ, რომ ისლამური მეორედ მოსვლა მაინცდამაინც საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყოს?**

საქართველოში ირანის ელჩის მოადგილის მოჰსენ ქებრიაის განმარტებით, **„აბსოლუტურად გვესმოდა საქართველოს მდგომარეობა, რომ საქართველო ითვალისწინებდა დასავლელი პარტნიორების გარკვეულ რჩევებს. მას შემდეგ, რაც ირანმა დასავლეთთანაც მიაღწია შეთანხმებას და დასავლეთმაც და ამერიკამ გააუქმეს სანქციები, ჩვენც შესაბამისად ვცდილობთ, განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობები და თანამშრომლობა, განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროში“.**

საქართველოს მიერ ირანისთვის დაწესებული სავიზო რეჟიმის 15 თებერვლიდან გაუქმებას პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** დაგვიანებულად აცხადებს. For.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი განმარტავს, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოსთვის საშიში არ არის, ვინაიდან ირანი უცებ გახდა მიმზიდველი ყველასთვის. უკვე ორი თვეა, სომხეთი ოფიციალურ დონეზე „ჩახუტებულია“ ირანთან, სომხებმა უამრავი ხელშეკრულება გააფორმეს ირანთან, მათ შორის — ტურიზმის სფეროშიც.

**„ირანს გაყინული ანგარიშები გაუთავისუფლეს და, ზოგიერთი მონაცემით, 18-დან 30 მილიარდ დოლარამდე ფული აქვს ასაღები საერთაშორისო ბანკებიდან. გარდა ამისა, ნავთობზე ემბარგოც მოეხსნა, ირანი უკვე გაყიდის ნავთობს და ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა იქნება. როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებამდეც მივიდა ეს ინფორმაცია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მთავარი ისაა, რომ თურქებთან ვიყავით ჩახუტებული და ბოლოს მთელი აჭარა საკუთარ ბორდელად აქციეს თურქებმა. ირანელები კი მაინც უფრო უძველესი კულტურის ხალხია, ეგენი თურქებივით მომთაბარენი არ ყოფილან და თურქების მსგავსად სხვისი დედაქალაქი არ გაუხდიათ თავიანთ დედაქალაქად. რაც შეეხება „ჰესბოლას“ დაფინანსებას ირანის მხრიდან, ეს ჩვენთვის არავითარი საფრთხე არ არის. „ჰესბოლა“ იკითხოს ისრაელმა, ისევე, როგორც მეორე ტერორისტული ორგანიზაცია-„ჰამასი“.**

ექსპერტი აღმოსავლეთის საკითხებში **სოსო ზაალიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საქართველოს მხრიდან ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება ყოვლად უგუნური, ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია და არანაირი ინვესტიცია არ გაამართლებს ტერორისტებთან ურთიერთობას.

კვირიკაშვილისადმი პატივისცემის მიუხედავად, სოსო ზაალიშვილი მიიჩნევს, რომ ირანი დღესაც მსოფლიოში რჩება ტერორიზმის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლად, რისი მაგალითიცაა მისი მხრიდან ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლას“ (ირანის შიიტური ტერორისტული ორგანიზაცია) დაფინანსება.

**„რატომაა ირანთან უვიზო რეჟიმის დაწესება საფრთხე საქართველოსთვის? მოგეხსენებათ, სირიაში მიმდინარეობს კონფლიქტი შიიტებსა და სუნიტებს შორის. ჩვენი მეზობელი ქვეყანა, თურქეთი სუნიტური ისლამის მიმდევარია, ირანი კი — შიიტური ისლამის. საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ როგორც შიიტი მუსლიმანები — აზერბაიჯანელები, ასევე — სუნიტი ქართველი მუსლიმანებიც. პანკისში მცხოვრები 30-მდე ადამიანი დაიღუპა სირიაში, ორი საველე მეთაური პანკისის ხეობიდანაა, აღარაფერს ვამბობ ახმედ ჩატაევზე. განა შეიძლება, ასეთ დროს ჩვენი ქვეყანა სუნიტი და შიიტი მუსლიმანების საბოგინოდ გავხადოთ? რაიმე დაპირისპირება რომ მოხდეს ამ ორ რელიგიურ მიმდინარეობას შორის საქართველოში, წარმოგიდგენიათ, რას მივიღებთ ამ უვიზო რეჟიმის გამო? ალბათ, გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილის დროს რუსთაველსა და მელიქიშვილზე ირანული ფირმები იყო გახსნილი და გამოკიდული ჰქონდათ ირანული დროშები. ახლაც ამის უკან დგას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სატელიტ პარტიებს (ვგულისხმობ „რესპუბლიკურ პარტიას“) დიდი გავლენა აქვთ საქართველოზე, ეს პარტია მიბმულია ამერიკის დემოკრატიულ პარტიაზე და, აქედან გამომდინარე, მიბმულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტზე, რომელიც სწორედ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. ეს სწორედ ობამას, კერის და კლინტონის ხაზის გატარებაა, რომ ირანი ვითომდაც საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანონ.**




**გავითვალისწინოთ ისიც, რომ 150 ათასამდე მებრძოლის შეყვანა სურთ არაბეთის გაერთიანებულ ძალებს სირიაში სწორედ შიიტებთან საბრძოლველად. უნდა კი საქართველოს ხელისუფლებას, ისლამური მეორედ მოსვლა დაიწყოს საქართველოს ტერიტორიაზე? გადმოგვცემს კი ირანის დაზვერვის სამსახური ირანელი ტერორისტების სიას?“,** — აღნიშნა სოსო ზაალიშვილმა და განმარტა, რომ სააკაშვილმა 40 ათას თურქს მისცა საქართველოს მოქალაქეობა, ესენი კი ირანელების უვიზოდ შემოყვანას აპირებენ და არც აინტერესებთ, ამას რა რეზონანსი მოჰყვება ჩვენი მეგობარი ქვეყნის — ისრაელის მხრიდან.

**მანანა ნოზაძე**

ეს ყველა ბიზნესმენს დააგულისყურებს

# მოგების გადასახადის რეფორმა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც საგადასახადო ლიბერალიზაციის კუთხით მნიშვნელოვან სიახლეებს ითვალისწინებს.**

ცვლილების ძირითადი ნაწილი ეხება მოგების გადასახადის რეფორმას, რომელიც ე.წ. ესტონურ მოდელს ეფუძნება. აღნიშნული მოდელის მიხედვით, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, კომპანიები მოგების გადასახადს არ გადაიხდიან. მოგება დაიბეგრება მხოლოდ მისი განაწილების, დივიდენდად გაცემის შემთხვევაში.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, რეფორმა საქართველოს ეკონომიკის არაერთ მიმართულებაზე მოახდენს დადებით გავლენას:

დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში (რასაც ადასტურებს უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა და პროგნოზები);

პოზიტიური გავლენა ექნება ქვეყანაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების თვალსაზრისით (რაც გრძელვადიან პერიოდში დადებითად იმოქმედებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე);

ხელს შეუწყობს ფინანსურ რესურსებზე კომპანიების ხელმისაწვდომობის ზრდას. განსაკუთრებით, ეს შეეხება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (ესტონეთში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ რეფორმამ ყველაზე დიდი ეფექტი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოახდინა);

რეფორმის შედეგად ეკონომიკაში გაიზრდება პროდუქტიულობა;

გაიზრდება ბიზნესში არსებული აქტივების ლიკვიდურობა;

გაიზრდება კაპიტალის მოცულობა;

შემცირდება გარე ფინანსური შეზღუდვები;

ბიზნესს ექნება მეტი შესაძლებლობა განვითარებისთვის;

ჩამოყალიბდება მიმზიდველი კლიმატი ბიზნესის დაწყების და წარმოების კუთხით, რაც გაზრდის ახალი, პოტენციური ინვესტორების დაინტერესებას საქართველოსადმი. შედეგად გაიზრდება ინვესტიციების, მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა;

გაიზრდება ბიზნესის კრიზისისადმი მდგრადობა;

გამარტივდება საგადასახადო აღრიცხვა და ადმინისტრირება.

უწყების ინფორმაციით, მოგების გადასახადი რეფორმის, კერძოდ, ე.წ. ესტონური მოდელის შესწავლაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ერთ წელზე მეტ ხანს იმუშავა. შედგა ქართული დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში, სადაც ქართული მხარე აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებას გაეცნო.

გარდა ამისა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) მხარდაჭერით, მომზადდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მიხედვით რეფორმის გავლენის შეფასების დოკუმენტი. აღნიშნულ პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი ისე ესტონელი ექსპერტები; დოკუმენტში გაანალიზებულია, თუ რა შედეგების მომტანი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის ესტონური მოდელის მიხედვით აღნიშნული რეფორმის განხორციელება.

ექსპერტების მიერ რეფორმის საქართველოში განხორციელება შეფასებულია ერთმნიშვნელოვნად დადებითად. კერძოდ, ეს იქნება რეფორმა, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბებისკენ.

მოგების გადასახადის რეფორმის გარდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივების მხრივ. კერძოდ:

- საგადასახადო დავის პერიოდში პირის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება განხორციელდება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით;
- საგადასახადო შემოწმებას განახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო;
- კომპანია, რომელიც ძირითად საშუალებებს იყენებს დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებში, ძირითადი საშუალების იმპორტისას აღარ გადაიხდის დღგ-ს თანხას;
- გადამხდელებს, რომელთაც აქტივობები არ უფიქსირდებათ, ჩამოეწერებათ:

2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი დავალიანების თანხა;

2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ დავალიანებაზე დარიცხული სანქციები, ძირითადი თანხის გადახდის პირობით.

SIC!

# თხილის ბიზნესი „ჩაიშალა?“

**ფასი ბოლო 3 წლის მინიმუმზეა**

**საქართველოში თხილის გაიაფებას ბოლო არ უჩანს. ფასი იმდენდ დაეცა, რომ მოსავლის გაყიდვაც კი აზრს კარგავს. 3 წელზე მეტია, რაც თხილის ფასი ასეთი დაბალ ნიშნულზე არ ყოფილა. შარშან ამ დროს 1 კგ თხილი 11 ლარიც კი ღირდა, თუმცა წელს 1 კგ „გულშიშველა“ — 3 ლარი, „ანაკლიური“ კი 4,20 ლარი ღირს.**

გურიაში თხილს მძიმე დრო უდგას, ფასი ყოველ დღე ეცემა, რასაც გლეხებში პანიკა მოჰყვა. მწარმოებლები თხილზე ფასის ვარდნის მიზეზებს ვერ ხსნიან, თუმცა ამბობენ, რომ შესაძლოა, ეს უხარისხო თხილს უკავშირდებოდეს.



**— მოსახლეობის 70% თხილი არ გაუყიდია. ყველა ელოდა, რომ ფასი გაიზრდებოდა, მაგრამ 8 ლარი იყო და ახლა 3.50 ლარი გახდა. ცოდოა ხალხი, 3.50 ლარად თხილი როგორ უნდა ჩააბარო. ბიზნესი ვისაც გვაქვს, ვალები გვედება. ყველა ბანკის სესხით ვმუშაობთ, ფასი კი ყოველდღე ეცემა. გვეუბნებიან, რომ ევროპაში ველარ გააქვთ, თხილის უხარისხობაზეც საუბრობენ. არ ვიცით, ვერაფერს გეტყვით,** — ამბობს თხილის ჩამბარებელ პუნქტში მომუშავე გიორგი ნაკაშიძე.

იგივე პრობლემაა სამეგრელოშიც. სოფელ ჯიხაშკარის მკვიდრი ზურაბ გაბოსინია, რომელმაც ბანკიდან 10 ათასი ლარი გამოიტანა იმის იმედით, რომ „კარგ ფასში“ ნაყიდი თხილი მოგებას დაუტოვებდა, ახლა ურთულეს მდგომარეობაშია.

**— სახლი ჩავდე ბანკში და 1 კგ თხილი 6 ლარად შევისყიდე. კარგი ხარისხია, მაგრამ მომავალ წლამდე არავინ იცის, რა იქნება. ჯერ ერთი წონაში იკლებს, შემდეგ გული უშავდება და 3 ლარშიც შეიძლება აღარ გაიყიდოს. ადრე, დოლარის კურსის მატებასთან ერთად, თხილის ფასიც იზრდებოდა. ახლა კი პირიქით ხდება,** — ამბობს ზურაბ გაბისონია.

თხილის გადამმუშავებელთა და ექსპორტიორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ალექსანდრე მოწერელიას თქმით, თხილის ფასის მატება უახლოეს დღეებში მოსალოდნელი არ არის.

**— მოგეხსენებათ, თხილის ფასს მსოფლიო ბაზარზე თურქეთი განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, როდესაც მოსავალი დიდია, პროდუქტის დეფიციტი არ არის ბაზარზე და როდესაც თურქეთში თხილი იაფდება, იაფდება ჩვენთანაც, საქართველოში. ამ საკითხზე საუბრისას, ისევ მივდივართ პრობლემასთან, რომელზეც მუდმივად ვსაუბრობთ, რომ ქართული თხილის პრობლემა არის შრობა. ცუდი შრობიდან გამომდინარე, „გულშიშველას“ გამოსავლიანობის პროცენტი არის ძალიან დაბალი და ამიტომ მისი ფასიც მცირეა,** — აცხადებს ალექსანდრე მოწერელია.

მისივე თქმით, **როდესაც თხილის ფასი 7 ლარზე იყო, მაშინ მოსახლეობამ არ ჩააბარა. „ადამიანის ბუნება ასეთია, როცა იყო 7 ლარი, არ გაყიდა მაშინ თხილი. ახლა დაიწია თხილის ფასმა და წუწუნებს ყველა. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ თურქეთში კარგი მოსავალი იყო და ასევე კარგი მოსავალი იყო საქართველოშიც. ვერ გამიგია, რაზე ამყარებს იმედს ხალხი და რატომ ჰგონიათ, რომ თხილის ფასი მოიმატებს მუდმივად?** — კითხულობს მოწერელია.

მსოფლიოში თხილის მწარმოებელ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია, სადაც ყოველწლიურად 700 ათასი ტონა თხილი მოჰყავთ. მას მოსდევს იტალია, საქართველო და აზერბაიჯანი.

**ბექა დანელია**

ალიან-ჩალიანი

## ფონიჭალელებს ნიაღვარი ველარ შეაშინებს

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ კრწანისის რაიონის გამგებელთან გიორგი კოპალეიშვილთან და საკრებულოს კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ ბექა ნაცვლიშვილთან ერთად სანიაღვრე კოლექტორის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა და იქ მცხოვრებ მოსახლეობას გაესაუბრა.**

**სამუშაოების ფარგლებში, ზემო ფონიჭალაში, ანდრო ჟორდანიას ქუჩასა და ქვემო ფონიჭალაში მდინარე მტკვრამდე მიმდინარეობს 1 225 მეტრი სიგრძის სანიაღვრე კოლექტორის მოწყობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდება. კერძოდ, სრულად აღდგება სანიაღვრე სისტემა, ასევე გაიწმინდება ის დაჭაობებული ტერიტორიები, რომელიც პრობლემებს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას.**



**„ჩვენ, როგორც კი პროექტი მოვამზადეთ და შესაბამისი რესურსები გაგვიჩნდა დაუყოვნებლივ დავიწყეთ სამუშაოები. პროექტს ზაფხულამდე მოვრჩებით და ამით მოსახლეობას მთლიანად სანიაღვრე და დაბინძურებული წყლის პრობლემა მოეხსნება. ერთნაირად კარგი საქმე კეთდება როგორც მოსახლეობისთვის, ასევე რკინიგზისთვის და იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ“, — განაცხადა თბილისის მერმა. პროექტის ჯამური ღირებულება 820 000 ლარია და ის 2016 წლის 1 ივნისს დასრულდება.**

## თბილისში 175 იბიარდული ავტობუსი შემოვა

**თბილისის საკრებულოს ურბანული კომისიის თავმჯდომარის გოჩა ბაბუნაშვილის განცხადებით, „იბიარდთან“ მოლაპარაკებები დასრულდა, მიმდინარე წლის ზაფხულში დედაქალაქში 175 ევროპული ტიპის ავტობუსი შემოვა. ბაბუნაშვილის თქმით, ავტობუსების შემოყვანა, მომავალ წელსაც მოხდება და ეტაპობრივად განახლდება თბილისის ავტოპარკი.**

**ეს ავტობუსები ხელს შეუწყობს ქალაქში მოსახლეობის ნორმალურ გადაადგილებას და აღარ იქნება საჭირო ამდენი მიკროავტობუსი. ხაზიდან მოხსნილ ძველ ავტობუსებს ჩაუტარდებათ კაპიტალური რემონტი და ისინიც ამ ახალ ავტობუსებთან ერთად განაახლებენ მუშაობას.**

**„იბიარდთან“ მოლაპარაკებები დასრულებულია, ავტობუსებისთვის 30 მილიონი ევროა გამოყოფილი. ტენდერში მონაწილეობას ღებულობენ ჩინური და ევროპული კომპანიები. ჩვენ, სავარაუდოდ, არჩევანს ევროპულზე შევაჩერებთ. ავტობუსების სიგრძე 12 მეტრზე მეტი არ იქნება. მათი საცალო ფასი კი 200-დან 250 000 ევრომდე მერყეობს, თუმცა მასობრივი შესყიდვისას მათ ღირებულებას ფასი დააკლდება“, — აღნიშნა ბაბუნაშვილმა.**

**წელსვე მოხდება ქალაქში არსებული ტაქსების აღრიცხვაც. ბაბუნაშვილის განცხადებით, დაუზუსტებელი ინფორმაცით, დედაქალაქში მოძრავი ტაქსების რიცხვი 50 ათასამდე აღწევს.**

**საკრებულოს წარმომადგენლის თქმით, წელს ტაქსებისთვის რაიმე რეგულაციების დაწესება არ იგეგმება, თუმცა ბაბუნაშვილი ვარაუდობს, რომ რეგულაციები ტაქსებს მომავალ წელს დაუწესდებათ, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა მწყობრიდან არის გამოსული.**

## მეგრელი მონადირეები დაცულ ტერიტორიაში ნადირობას ითხოვენ

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი სამეგრელოს რეგიონის სამონადირეო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.**

**შეხვედრაზე კოლხეთის დაცული ტერიტორიის მიმდებარედ ნადირობისა და ტერიტორიის საზღვრებში სანადირო იარაღით გადაადგილების საკითხები განიხილეს. მონადირეების განცხადებით, დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ ნადირობის დამაბრკოლებელ ფაქტორს დაჭაობებული და სავალად უვარგისი ტერიტორიები წარმოადგენს. მონადირეები დაცული ტერიტორიის ფარგლებში იარაღით გადაადგილების უფლებას ითხოვენ.**

**გიგლა აგულაშვილის განცხადებით, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ფარგლებში იარაღით გადაადგილება აკრძალულია.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

# დემოკრატია და სახელმწიფოს მართვა

## ანუ როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა შესაცვლელი, ასევე შესაცვლელია ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმები











ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ რომ ჩატარდეს იმის თაობაზე, თუ რომელი ფორმა იქნება სახელმწიფოსთვის უფრო პრაგმატული, დარწმუნებული ვარ, რესპონდენტთა უდიდესი უმრავლესობა საპარლამენტო მმართველობას დაუჭერს მხარს, ახსნა საკმაოდ დამაჯერებელი იქნება — იმიტომ, რომ საპარლამენტო მმართველობის დროს ადგილი აქვს აზრთა პლურალიზმს, დისკუსიებს და გადაწყვეტილებაც კენჭისყრით, ანუ ხმების უმრავლესობით მიიღება. ერთპიროვნული მმართველობის დროს კი ერთი ძალა, უხშირესად, ერთი კაცის სიტყვა წყვეტს ყველაფერს. საკრიტიკო არგუმენტების მოძებნა, როგორც ერთი, ისე მეორე ფორმის მისამართით, ძნელი არ არის: მაგალითად, სად ერთი კაცის აზრი და სად — 150, 300 ან, სულაც, 500-ის! მაგრამ, მეორე მხრივ, სად გაუთავებელი დავა პარლამენტში, რაც ხშირად ფუჭ ლაყბობას ემსგავსება, რომელსაც შედეგი არ მოსდევს (ხმების უმრავლესობის მოგროვება არ ხერხდება) და სად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება. იმისათვის, თუ რომელ ფორმას მივანიჭოთ უპირატესობა, პლუსების და მინუსების ჩამონათვალზე მეტად დაგვეხმარება ე.წ. გამორიცხვის მეთოდი ჩვენი უახლესი ისტორიის მაგალითებზე.

საპარლამენტო მმართველობისგან განსხვავებით, <u>**ᲔᲠᲗᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ**</u>:

**1. არავითარი კოჰაბიტაცია დამნაშავე ნაცებთან;**

**2. ნაცმოძრაობა, როგორც სისტემური დანაშაულების ჩამდენი რეჟიმი, დაუსჯელი არ დარჩებოდა;**

**3. ნაცმოძრაობის რეჟიმის მიერ დახოცილი და ნაწამები ხალხის, პოლიტპატიმრების რეაბილიტაციის (200-ზე მეტი ადამიანის) და ქონებაწართმეულების (ათასობით) საქმეები თაროზე არ შემოიდებოდა;**

**4. ციხეებში უსამართლოდ ჩამყრელი და რეჟიმის „გამპრავებელი“ მოსამართლეების ნასახი არ იქნებოდა სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაბედავდა დამნაშავე პრეზიდენტის კუთვნილი „რუსთავი-2“-ის დაცვას, ხოლო იუსტიციის საბჭოში ვერავინ გაბედავდა მურუსიძისნაირი მოსამართლესთვის ხმის მიცემას;**

**5. ადგილი არ ექნებოდა დაპირისპირებას პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, მათ ერთდროულ სამარცხვინო ვოიაჟებს ერთსა და იმავე ღონისძიებაზე, პრეზიდენტი ვერ გაჯიუტდებოდა და საღი აზრის საწინააღმდეგოდ სასახლეში ცხოვრებას ვერ დაიჩემებდა;**

**6. არ მოხდებოდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და ვერც საკონსტიტუციო სასამართლოში გაბედავდა ვინმე სარჩელის შეტანას ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით;**

**7. სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე და საკუთარი ინტერესების საზიანოდ, არ დავუპირისპირდებოდით რუსეთს, ხოლო უკრაინის მთავრობას არ შევარჩენდით ქართველი ხალხის შეურაცხყოფას — საქართველოდან გაქცეული დამნაშავე ნაცების (სააკაშვილ-ადეიშვილის მეთაურობით) მაღალ თანამდებობებზე დანიშვნას;**

**8. უცხოელებზე არ გაიყიდებოდა ქართული მიწები და სტრატეგიული ობიექტები;**

**9. თავდაცვის მინისტრს (და არც სხვას) არ ეპატიებოდა არჩევნებში და საარჩევნო კომისიის მუშაობაში ჩარევა;**

**10. დაუსჯელი არ დარჩებოდა ომის წამომწყები მთავარსარდალი, რომელმაც საბრძოლო მოქმედების ზონიდან მშვიდობიანი მოსახლეობა არ გამოიყვანა;**

**11. არავინ ამოგზაურებდა ხელისუფლების წევრებს უცხოეთში ამდენს და არ დაახარჯვინებდა ბიუჯეტიდან, ანუ გაღატაკებული ხალხის ჯიბიდან მილიონებს აბსოლუტურად არაფრისმომცემ ვიზიტებში;**

**12. ქართველი ჯარისკაცები არ გაიგზავნებოდნენ უაზრო და უსამართლო სამხედრო მისიებში სხვისი ინტერესების დასაცავად და, ამაში, ისევ ხალხის ჯიბიდან მილიონები არ გადაიყრებოდა;**

**13. ვერავინ გაბედავდა პატრიარქის და ეკლესიის გაქილიკებას და შეურაცხყოფას;**

**14. არავინ აბოგინებდა უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობოებს თავის, უფრო სწორად, დამფინანსებლის ჭკუაზე;**

**15. ვერავინ გაბედავდა არჩევნების გაყალბებას, დეზინფორმაციის გავრცელებას, ცილისწამებას და საჯაროდ გინებას;**

**16. ამერიკის ელჩი ასე დაუფარავად და უცერემონიოდ ვერ ჩაერეოდა შინაურ საქმეებში;**

**17. ადგილი არ ექნებოდა „ქოცებსა“ და „ნაცებს“ შორის იმ სამარცხვინო დაპირისპირებას, რომელიც ევროპარლამენტში ვიხილეთ (თანაც, არაერთხელ!);**

**18. არ დაინგრეოდა საყდრისი და არ აშენდებოდა დამამახინჯებელი შენობები, „ხელოვნების ნიმუშები“ და გიგანტური ჰესები;**

**19. არ დაიშვებოდა გენმოდიფიცირებული პროდუქცია (აღმნიშვნელი წარწერებითაც), შეუმოწმებელი წამლები და ვაქცინები (უფასოდ შემოთავაზებულიც), არ აშენდებოდა უცხო სახელმწიფოს სამხედრო უწყებას დაქვემდებარებული, უდიდესი საფრთხის შემცველი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია;**

**20. არ დაიქცეოდა სოფელი და არ გამათხოვრდებოდა ქართველი კაცი, არ აიყრებოდა სამშობლო მიწიდან და არ მოუწევდა სხვის მოჯამაგირედ დადგომა, და ა.შ. და ა.შ.**

ალბათ, მართლაც საკმარისზე მეტი მაგალითები მოვიყვანე ერთპიროვნული პატიოსანი მმართველის სასარგებლოდ და, თითქოს, ყველაფერი ნათელია, მაგრამ არჩევანის სისწორეში კიდევ უფრო მეტად რომ დავრწმუნდეთ, ერთი კითხვაც დავსვათ: <u>**ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ?**</u>

სწორედ ეფექტურობა არის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი ხელისუფლების მუშაობის შესაფასებლად. თუ დროულად არ ხერხდება ამა თუ იმ კანონის მიღება, და დრო გაუთავებელ უსაგნო (გნებავთ, საგნიან) დავებში გადის, სახელმწიფოს წინსვლა აუცილებლად შეფერხდება! კითხვა კი დავსვი, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი დიდი ხნის წინათ არის გაცემული და მისი სისწორე ცხოვრებისეული უმკაცრესი პრაქტიკით არის შემოწმებული. ამ პასუხამდე ადვილად მივალთ, თუ ერთ კითხვასაც დავსვამთ: როგორ იქცევა სახელმწიფო (დემოკრატიულად მიჩნეულიც!) უკიდურესი კრიზისული და საგანგებო მდგომარეობის დროს? რაც არ უნდა ფართო უფლებები გააჩნდეს სახელმწიფოს მეთაურს — პრეზიდენტს ან პრემიერს, ომების დროს მას ენიჭება აბსოლუტური ძალაუფლება და მთელი პასუხისმგებლობაც ეკისრება (იგულისხმება სახელმწიფოზე გარედან თავდასხმა, და არა ისეთი ომები, როგორსაც ამერიკა აწარმოებს დაწყებული მეოცე საუკუნის ბოლოდან, როცა სხვის მიწაზე ფეხის დაუდგმელად, ციდან, ბომბების ძალით ამყარებს „დემოკრატიას“ მის ნებას არდამორჩილებულ ქვეყნებში)! ყველაფერი ეს ხდება ერთადერთი, მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული მიზნით, იმისათვის, რათა ეფექტურად იმუშაოს ყველა უწყებამ და საწარმომ, სამხედრომ თუ სამოქალაქომ. <u>**მთელი ძალაუფლების ერთი პატიოსანი და მცოდნე ადამიანის ხელში თავმოყრა ცუდი და დამღუპველი რომ იყოს სახელმწიფოსთვის, მაშინ ვინ სულელი დათანხმდებოდა ამ წესს, თანაც, ომის დროს?!**</u> რა თქმა უნდა, არავინ! და თუ ეს წესი ომის პირობებში კარგია, მშვიდობის დროს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, რატომ უნდა იყოს ცუდი?! ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს (ამის მაგალითებს ქვემოთ მოგახსენებთ), რომ ერთპიროვნული მმართველობის პირობებში სახელმწიფოს მართვა გაცილებით ეფექტურია — ნებისმიერი პროექტის განხორციელება, ნებისმიერი რეფორმის გატარება, ერთი სიტყვით, სახელმწიფოსთვის სასარგებლო ნაბიჯების გადადგმა. მაგრამ აქ ერთი „პატარა“ პრობლემაა გადასაწყვეტი — ისეთი კაცია მოსაძებნი, რომელიც იქნება: თავისი ერის და სამშობლოს მოყვარული, წინდახედული, გაწონასწორებული, გამბედავი და პატიოსანი, ანუ სააკაშვილის სრული ანტიპოდი! სრული უფლებებით აღჭურვილი ასეთი ადამიანი ადვილად დააკომპლექტებდა მთავრობას ღირსეული ადამიანებით და, წესრიგთან ერთად, ნორმალურ ცხოვრებასაც სწრაფად დაამყარებდა. მაგალითები? ინებეთ:

ყველა ერთპიროვნულ მმართველს, ცხადია, ვერ შევეხები, ამიტომ, მეტი თვალსაჩინოებისთვის მაგალითებად მხოლოდ რამდენიმე, ყველასათვის ცნობილ დიქტატორებს მოვიყვან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. ყველა მათგანმა კრიზისულ დროს აიღო ძალაუფლება ხელში — ზოგმა რევოლუციის, ზოგმა გადატრიალების და ზოგმაც არჩევნების გზით.

№1 დიქტატორი <u>**სტალინი,**</u> რომელმაც სამართავად მიიღო ჩამორჩენილი, რევოლუციისა და სამოქალაქო ომისგან გაჩანაგებული რუსეთი და იგი (საბჭოთა კავშირის სახით) 25 წლიწადში მსოფლიოში უძლიერეს და უგანათლებულეს ატომურ სახელმწიფოდ აქცია. სამწუხაროდ, ყველაფერ ამას დიდი მსხვერპლიც ახლდა, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში — 1937 წელს ჩატარებული წმენდისას. მიუხედავად იმისა, რომ ეს წმენდა მეხუთე კოლონის განადგურებას ისახავდა მიზნად და, მასშტაბებითაც იგი გაცილებით ნაკლები იყო ლენინის და ტროცკის მიერ ჩატარებულ მასობრივ დახვრეტებთან შედარებით, მას უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. ამიტომ, მისი გამართლება ადამიანური თვალსაზრისით არაფრით არ შეიძლება. თუმცა, ამავე დროს, მრავლისმეტყველია ამერიკის ყოფილი ელჩის (1936-38 წლებში) ჯოზეფ დევისის სიტყვებიც: <u>**„1941 წლისთვის რუსეთში აღარ იყვნენ მეხუთე კოლონის წარმომადგენლები — ისინი დახვრეტილ იქნენ! ჩატარებულმა წმენდამ წესრიგი დაამყარა ქვეყანაში და იხსნა იგი ღალატისგან“.**</u> ამის გარეშე კი ჰიტლერის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა;

ლიბიის დიქტატორი <u>**კადაფი,**</u> რომელმაც მხოლოდ 7 წელი დაჰყო ხელისუფლებაში, მაგრამ 43 წლის მანძილზე, სიკვდილამდე ხალხის მიერ აღიარებული ლიდერი იყო! რევოლუციის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ლიბიაში სიკვდილით არ დასჯილა არცერთი ადამიანი, რაც უიშვიათესი, ალბათ, ერთადერთი შემთხვევაა რევოლუციების ისტორიაში! კადაფი ერთადერთი სახელმწიფო მოღვაწე იყო მსოფლიოში, რომელმაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი შესძლო — თითქოსდა, უტოპიური იდეა, კომუნიზმი რეალობად აქცია ლიბიაში;

ჩილეს პრეზიდენტი — დიქტატორი <u>**პინოჩეტი**</u>. 17-წლიანი დიქტატურის შემდეგ, როდესაც მან პოსტი დატოვა, ჩილე ერთადერთი სახელმწიფო იყო დასავლეთ ნახევარსფეროში საგარეო ვალის გარეშე. უნდა ითქვას, რომ ეკლესია დიქტატორებს არ წყალობს, მხარს არ უჭერს — იგი თვლის, რომ დიქტატურა არ არის სახელმწიფოს მართვის „ღვთისთვის სასურველი“ ფორმა, მაგრამ ჩილეს ეკონომიკური აღმავლობის შემხედვარე, ეკლესია მხარში ამოუდგა პინოჩეტს;

და ბოლოს, დემოკრატიული დასავლეთის მიერ „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ შერაცხილი ბელარუსის პრეზიდენტი <u>**ლუკაშენკო.**</u> ენერგეტიკული რესურსების (ნავთობი, გაზი) არმქონე ბელარუსი ერთადერთი სახელმწიფოა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელმაც კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ხარჯზე, და, რაც უმთავრესია, სამართლიანი(!) „დიქტატორის“ ხელში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე და სანიმუშო წესრიგი შეინარჩუნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ დიქტატორად წოდებულმა ავტორიტარულმა მმართველმა არც სტრატეგიული ობიექტები გაუყიდა თავის ხალხს და არც — ერთი კვადრატული მეტრი სამშობლო მიწისა!

**ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲟᲐᲕᲐ,**
5 თებერვალი, 2016

**(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)**

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. № 26

**◉ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

## ᲝᲡᲣᲠᲘ ᲯᲐᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲚ

**ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ მომავალში რუსეთი ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთთან ე.წ. სამოკავშირეო შეთანხმების ფარგლებში დამატებით ხელშეკრულებებს გააფორმებს.**

**ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ივან ბოლტენკოვმა განაცხადა, რომელიც ცხინვალში „სამუშაო“ ვიზიტით იმყოფება.**

**მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მან იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში დასრულდება მუშაობა დოკუმენტზე, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. ოსური ჯარის ცალკეული ქვედანაყოფების რუსეთის შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში გაწევრიანების საკითხზე.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

### გია გაჩეჩილაძე:

# საჯარო რეესტრი შანტაჟზე არ უნდა წამოეგოს!



„მაესტროს"საკონტროლო პაკეტის მფლობელი გია გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრი ირიბად ხელს უწყობს ტელეკომპანიის გაკოტრებას. „მაესტროს" ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე იგი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

**„მინდა განვაცხადო, რომ გუშინდელი საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება, მიმართულია ქვეყანაში კანონიერების, ბიზნესის და თავისუფალი მედიის წინააღმდეგ. საჯარო რეესტრი არის ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კანონის აღსრულება და არ უნდა წამოეგოს შანტაჟს და სხვა სახის მანიპულირებად მოქმედებებს. ამ შემთხვევაში, ადგილი გვაქვს ტელეკომპანია „მაესტროს" და „რუსთავი-2"-ის მიერ საზოგადოებრივი აზრის მართვის მცელობასთან, რომლის პირველი მსხვერპლი გახდა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა — საჯარო რეესტრი. ასეთი ქმედებით საჯარო რეესტრი ირიბად ხელს უწყობს კომპანიის გაკოტრებას.**

**მაღალი საჯარო ინტერესის ფონზე, ასეთი უპრინციპო გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული ზემდგომი ორგანოების ჩარევის გარეშე — ყველაზე ცოტა ქალბატონი იუსტიციის მინისტრის და ჩემი „მეგობრის" — პრემიერ-მინისტრის გარეშე.**

**რომელ ცივილიზებულ ქვეყანაში გინახავთ, რომ ტელევიზიის დირექტორს შეეძლოს მფლობელზე და კანონზე მაღლა დადგეს: არ გადაიხადოს გადასახადები, დააგროვოს ვალები, გაანიავოს ინტელექტუალური საკუთრება, კონკრეტული აქციონერების შეკვეთით მიზანმიმართულად გააკოტროს და „გადააგდოს"კომპანიის სხვა აქციონერები. ეს უკვე არის გაცხადებული გეგმა, რომლის მიზანია გაკოტრებული კომპანიის ნაცვლად, შეიქმნას ახალი კომპანია, სადაც მხოლოდ კოტე გოგელია დარჩება, ხოლო სხვა კანონიერი მფლობელების ადგილი აღარ იქნება. კოტე გოგელიას ახალი კომპანია — იმავე ეთერით და ეთერ გადაბაძით! ეს ყველაფერი იფუთება „თავისუფალი სიტყვის ზეიმად" და „პოლიტიკურ დაკვეთასთან" ბრძოლად, ორი მთავარი მესიჯით: „მივრბივარ ამერიკის ელჩთან" და „ყველაფერი ბიძინას ბრალია."**

**როდესაც 55 % წილის მფლობელი აქციონერი ვერ ცვლის დირექტორს, მიუხედავად სასამართლოს პოზიციისა, ეს არა „მაესტროს", არამედ მთელი ქვეყნის უბედურებაა.**

**ქვეყნის მართვა არ გულისხმობს მთავრობის პასიურ პოზიციას პრინციპულ საკითხებზე. ქვეყნის მართვა არ ნიშნავს გვარამიას და გადაბაძის ხუშტურზე სიარულს, ქვეყნის მართვა არ ნიშნავს ტელევიზიების გასვლას კანონიერების სივრციდან. ეს ნიკა გვარამიას და ეთერ გადაბაძის მიერ ქვეყნის მართვას უფრო გავს. ჩვენ ისინი არ აგვირჩევია! ეს ნორმალურია?**

**საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ტელეშანტაჟების ეპოქა! ამიტომაც განვაგრძობ ბრძოლას „მაესტროს" გადასარჩენად,** — აღნიშნულია განცხადებაში.

### ვის რა ევასა?

**თავისი კაცურ კაცობით**
**„უცნობი" გახდა ნაცნობი**
**და, მოდით ვკითხოთ გიასა,**
**აგვიხსნას უფრო „იასნად",**
**რომ ნატრობს, მალე გაესწროს**
**„ცრუსთავ-2"-სთვის „მაესტროს",**
**ამ დროს რა ცოდვა აძევსა**
**ქალბატონ გადაბაძესა,**
**რომ გიას ღვიძლ ძმას ლევანსა**
**დირექტორობა ევასა?**

**ალექსანდრე შენგელია**

## ცხოვრების წესი

### ავად გახდით? იზარმაცეთ!

**ძალიან ბევრნი დარწმუნებული არიან, რომ სიზარმაცეს კარგი არაფერი მოაქვს. არადა, ეს, თურმე, მთლად ასე არ ყოფილა. აღმოჩნდა, რომ ზარმაცობა ზოგჯერ ჯანმრთელობისთვისაც კარგია და გუნება-განწყობისთვისაც.**

ცხადია, თუკი კაცი აპათიის მდგომარეობაში დიდი ხნის მანძილზე იმყოფება და საერთოდ არაფრის გაკეთება არ უნდა, ეს ცუდია. ასეთი ზარმაცი „იტყაპება", კარგავს არა მარტო ფიზიკურ, არამედ ინტელექტუალურ ფორმასაც, თანაც რაც უფრო დიდხანს ზარმაცობს, მით უფრო მეტად უჭირს შემდეგ მუშაობაში ჩაბმა. სულ სხვა საქმეა, როცა კაცი თავს უფლებას აძლევს ცოტა ხნით მოდუნდეს, რომ იტყვიან, სული მოითქვას. ასეთ „სიზარმაცეს" მხოლოდ კარგი შედეგები მოაქვს, გვარწმუნებენ სპეციალისტები.

### იჩქარეთ ნელა

**გერმანელმა მეცნიერმა პეტერ აკსტმა იმ სპორტსმენთა სია შეადგინა, ვინც ხანდაზმულობას ვერ მოესწრო და შედეგად აღმოაჩინა, რომ ფიზიკური აქტიურობა ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარი ყოველთვის არ არის.**



მრავალი ფაქტის გააანალიზების შედეგად მკვლევარმა დასკვნა გამოიტანა, რომ მათ, ვინც „მდორედ" ცხოვრობს, „ვერცხლისწყალა" ხალხზე არანაკლებ ხანგრძლივი (ხშირ შემთხვევაში კი უფრო მეტის!) სიცოცხლის შანსები აქვთ. ამიტომაც, მეცნიერი რჩევას იძლევა, რომ ფიზიკურად თავი ზედმეტად არ უნდა გადავიტვირთოთ, ხშირ-ხშირად დავისვენოთ და კარგად გამოვიძინოთ ხოლმე. მოკლედ, თავს ზარმაცობის უფლება მივცეთ.

### კიდევ ბევრი რამ არის ამქვეყნად...

**ერთხელ წამოწოლილმა, ანუ უსაქმოდ მყოფმა მათემატიკოსმა დეკარტმა, თავის გასართობად ჭერზე ბუზებზე დაკვირვება დაიწყო, და, მომავალ სკოლის მოსწავლეთა საუბედუროდ, კოორდინატების სისტემა გამოიგონა.**

ეს, ცხადია, ხუმრობით, თანაც ბუზების ამბავიც, ალბათ, რომელიმე გონებამახვილმა ჭკვიანმა მოცალეობის ჟამს მოიგონა, მაგრამ არსებობს იმის მეცნიერული დასტურიც, რომ დროებით არაფრის კეთების პერიოდებში ტვინი გაცილებით უკეთ ფუნქციონირებს. თურმე მშვიდ მდგომარეობაში მყოფი კაცი გაცილებით უფრო მარტივად იღებს ქვეცნობიერიდან და შეუცნობლიდან მომავალ ნიშნებს და სწორედ ამას მოყვება ხოლმე გონების უცაბედი განათებები და აღმოჩენები. თუკი რაღაც პრობლემა გაწუხებთ, გირჩევთ მოდუნდეთ და გონება სხვა რამეზე გადართოთ. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ „ზარმაცული პაუზის" შემდეგ თქვენ საკითხის გადაჭრის თქვენთვის მისაღებ გზას მიაგნოთ. კიდევ უფრო უკეთესია, თუკი ამ დროს დაიძინებთ: **ვიდრე თქვენ დაისვენებთ, თავის ტვინი ამოცანის გადაწყვეტაზე მუშაობას განაგრძობს.** ასევე კარგი იქნება, თუკი უქმეებზე დილაობით ლოგინში ცოტას ინებივრებთ. ამერიკის შეერთებული შტატების პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ **ახალი სამუშაო კვირის დაწყებამდე ასე მოქცევა ტვინის საუკეთესო სტიმულაციაა.**

სხვათა შორის, უსაქმურობა სასარგებლოა არა მარტო ქვეცნობიერებისთვის, არამედ გონებისთვისაც. სიზარმაცის „შეტევა" კაცს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ დაუკვირდეს თავის ქცევას, აუჩქარებლად გააანალიზოს ვითარება, ყველაფერი აწონ-დაწონოს და სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. დროის უკმარისობის, ანუ „ცაიტნოტის" მდგომარეობაში კი ამის გაკეთება გაცილებით ძნელია, რადგან აზრები დახტიან, გადაწყვეტილება კი სწრაფადაა მისაღები.

ამერიკელი მეცნიერი **ენდრიუ სტიუარტი** დარწმუნებულია, რომ **თანამედროვე ადამიანები ინფორმაციას იმ ოდენობით იღებენ, რომ მისი სრულფასოვნად დამუშავების უნარი არ შესწევთ.** ეს კი, თავის მხრივ, ნერვული აშლილობის, სტრესებისა და ქრონიკული დაღლის მიზეზი ხდება — ტვინი ფეხს ვერ უწყობს ტექნიკური პროგრესის აჩქარებას! და რომ არა სიზარმაცე, რომელსაც, ზოგჯერ, ავყვებით ხოლმე, „თავის ქალა აგვეხდებოდა". ეს ისევეა, როგორც კომპიუტერში ან ტელეფონში ხდება ხოლმე — როცა მოწყობილობის მეხსიერება გადავსებულია, საჭიროა მისი გაწმენდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ **სიზარმაცე ნერვული სისტემისთვის დიდებული დამამშვიდებელი საშუალებაა: ტკბილად „არაფრის კეთება" გულისცემას ანელებს, არტერიულ წნევას აწესრიგებს და კარგ გუნებაზეც გაყენებთ.**

ასე რომ, იზარმაცეთ და დიდხანსაც იცოცხლებთ!

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია

**2016 წლის 4 აპრილს 13:00 საათზე, ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (შალვა ახალციხელის ქ. №2) გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზის 56-ე კილომეტრზე რკინიგზის გზაგამტარი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.**

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

## ინფორმაცია

**2016 წლის 7 აპრილს 13:00 საათზე, ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (აღმაშენებლის ქ. №9) გაიმართება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 58-ე კილომეტრზე სარწყავ არხზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.**

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- ქ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

## ინფორმაცია

**2016 წლის 5 აპრილს 13:00 საათზე, ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (წერეთლის №11 ) გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის მე-3 კილომეტრზე მდ. ყვირილაზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.**

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

## დედამიწის ზურგზე



### ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარყო რუსეთის ფედერაციის წინადადება სირიაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის შესახებ 1 მარტიდან, ამტკიცებს პრესა

ამერიკის ადმინისტრაციაში მიაჩნიათ, რომ კრემლი და სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის რეჟიმი განზრახ იტოვებენ 3 კვირას, რათა ამ პერიოდში გაანადგურონ ზომიერი ოპოზიციის რაზმები. სამაგიეროდ, ვაშინგტონი სთავაზობს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები.

### ფხენიანს შეუძლია მიაყენოს ბირთვული დარტყმა ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიხვდნენ ვაშინგტონში და გადაწყვიტეს სამხრეთ კორეაში გაგზავნონ წყალქვეშა ნავი

ვაშინგტონი სამხრეთი კორეის სანაპიროებზე გაგზავნის ვირჯინიის კლასის სუბმარინას, რომელსაც შეუძლია გადაიტანოს „ტომაგავკის“ რაკეტები და „მარკ-48“-ის ტორპედოები. ერთობლივ სამხედრო სწავლებაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ავიამზიდმა და სუპერკარიერის კლასის ხომალდმა. სამხრეთმა კორეამ შეაჩერა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთობლივი ინდუსტრიული პარკ კესონის დაფინანსება.

### ტაივანზე მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვი 55 კაცამდე გაიზარდა

მაშველები აგრძელებენ საძიებო ოპერაციებს ტაივანის სპეციალურ მუნიციპალიტეტში კუნძულის სამხრეთში. ამ მომენტისათვის დაახლოებით 80 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ჩამონგრეული 17-სართულიანი სახლის ნანგრევებში გრძელდება მასშტაბური ოპერაცია გასათავისუფლებლად, მაგრამ შანსი აღმოაჩინონ გადარჩენილები, უკიდურესად მცირეა.

### აშშ სენატმა მიიღო კანონი ახალი სანქციების შესახებ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ

კანონპროექტი ითვალისწინებს სანქციების შემოღებას იმათთან დაკავშირებით, ვინც მხარს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმ ტექნოლოგიების იმპორტს, რომლებიც დაკავშირებულია მასობრივი განადგურების იარაღთან, ადამიანის უფლებების დარღვევასთან, ქვეყნის ხელისუფლების მხარდასაჭერი ფულის გათეთრებასთან და კონტრაფაქტული საქონლის წარმოებასთან.

### რუსული ავიაკომპანიის ბოინგი მოულოდნელად დაჯდა დომინიკანაში, მგზავრების ევაკუაცია მოხდა გასაბერი ტრაპებით

პუნტ-კანიდან მოსკოვისკენ მიმავალი მგზავრის სიტყვებით, საავიაციო დაჯდომა მოხდა სალონში ჟანგბადის ჩამოშვებული ნიღბებით, ბორტზე მყოფების ევაკუაცია მოხდა ავარიული გასაბერი ტრაპების მეშვეობით.

### რუსეთის ავიაციამ სირიის ალეპოს პროვინციაში ბოევიკების ორი გავლენიანი მეთაური გაანადგურა

სირიის არაბეთის რესპუბლიკაში ბაზირებულმა რუსეთის ავიაჯგუფის თვითმფრინავებმა ერთი კვირის განმავლობაში 8 პროვინციაში დააზიანეს ტერორისტების 1888 ობიექტი, განაცხადეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში. იქ „სისულელე“ უწოდეს განცხადებას პენტაგონიდან ალეპოში 2 ჰოსპიტლის განადგურების შესახებ და ბრალი დასდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს ამ ქალაქის დაბომბვაში.



მარკუს მეცი და გეორგ ზესლენი

# რატომაა, რომ ბაზარი გვხდის უფრო ჭკვიანს და

თავი წიგნიდან „გამოთაყვანების მანქანები.

**კაპიტალიზმის ყველაზე მთავარი რესურსი ადამიანის სისულელეა. ხოლო ადამიანის სისულელის ყველაზე მთავარი პროდუქტი კაპიტალიზმია, ამიტომ მიაჩნიათ, რომ კაპიტალიზმი თვითონ ადამიანის ბუნების მიერ არის შობილი.**

და განა არ აღმოჩნდა ეს „ყველაზე ცუდი სისტემებიდან“, ოდნავ შეზავებული დემოკრატიით, მაინც ყველა დანარჩენზე უკეთესი, ვინაიდან ვერც ერთმა მისმა ალტერნატივამ –როგორც არ უნდა გამოიყურებოდეს იგი და რაც არ უნდა ეწოდებოდეს, – ადამიანის სისულელეების აღმოფხვრა მაინც ვერ შეძლო. იგი მხოლოდ ყველანაირად ცდილობდა მის ალაგმვას. მაგრამ განა სისულელე, გონიერების ტანსაცმელში გამოჯგიმული, არ აწარმოებს თითქმის ავტომატურ ტერორს? განა ყველა რევოლუციონერი არ სჩადიოდა ერთსა და იმავე ცოდვას და არ ქმნიდა სისულელეს სამსახურში იმის ნაცვლად, რომ ებრძოლა მასთან? მაგრამ სასარგებლო იდიოტებით ვერაფერ სასარგებლოს ვერ ააშენებ! და როგორც ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც ჩნდება ტერორისაგან, ვერასოდეს ტერორისგან ვერ გათავისუფლდება, ასევე ხელისუფლებაც, რომელიც ემყარება სისულელეს, ვერასოდეს თავის თავში მას ვერ დაძლევს.

და რახან ასეა, არ ღირს შეეცადო... და უფრო უკეთესია – უმალვე აღიარო, რომ „თავისუფალი ბაზარი“ არის ერთადერთი ადეკვატური რეაქცია ადამიანის ქცევის სპეციფიკურ თავისებურებაზე, რომელიც შეიცავს თავის თავში ასეთ გამაოგნებელ გონიერებას ასეთი წარმოუდგენელი სისულელით.

თვალყური ადევნეთ ადამიანებს, რომლებიც რაღაცას ყიდულობენ, – არა აქვს მნიშვნელობა საკითხი შეეხება ბოსტნეულის შეგროვებას წვნიანისთვის ან საფინანსო მომსახურების პაკეტს, – და თქვენ წარმოგიდგებათ წარმოუდგენელი უგუნურებისა და უზუსტესი გაანგარიშების გასაოცარი შენადნობი. მთავარი ხომ ისაა, რომ წვნიანი გამოდგეს გემრიელი, გარიგება მომგებიანი, ხოლო დაზღვევა მოხუცებულობის გამო – საიმედო, მაგრამ თუ სტუმარი მოულოდნელად მოინდომებს წვნიანს ხორცით ან აქციების ბაზარი კიდევ ერთხელ დაიშლება, ყველაფერი კვლავ თავდაყირა დადგება და ჩვენ, შოკში რომ აღმოვჩნდებით იმის გამო, რაც ბაზარში ჩავიდინეთ ან მან ჩვენს წინაშე ჩაიდინა, გვრჩება მხოლოდ გაოცება, როგორ შევძელით ვყოფილიყავით ასეთი ახლომხედველები, თუმცა რამდენ ხანს ვირჩევდით, ვფიქრობდით, ვწონიდით.




როგორც ჩანს, მხოლოდ თავისუფალ ბაზარს შეუძლია გადაამუშაოს სისულელისა და გონიერების ის წარმოუდგენელი ნაერთი, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, ჩადებულია ადამიანის ბუნებაში და მხოლოდ თავისუფალ ბაზარს, თუ ყველაფერს გავითვალისწინებთ, შეუძლია გამოათავისუფლოს მისი შემოქმედებითი პოტენციალი. კაპიტალიზმი (ან, უფრო ზუსტად, ყველა ის ნაირსახეობა, რომლებშიც იგი დღემდე წარმოგვიდგებოდა) ერთსა და იმავე დროს უკიდურესად სულელია და გასაოცრად გონიერი და ამიტომ არ შეუძლია იყოს განმარტებული ბოლომდე (ამიტომ არც გვარწმუნებენ მისი აპოლოგეტები, არც კრიტიკოსები) და უკვე, რასაკვირველია, არც ცდილობს აუხსნას ეს თავის თავს. იგი თავის თავში აგროვებს სისულელესა და გონიერებას შემადგენელი ელემენტებისა: მანქანების, ხალხის, ბაზრების, ფულის, ენისა და ბევრი სხვა რამისა. და ვინაიდან სისულელე და გონიერება მის სისტემაში კოორდინატია – არა აბსოლუტური ცნებები, არამედ შეფარდებითი, ერთის მეორეში უწყვეტი ტრანსფორმაციისთვის, მისთვის აუცილებელია სპეციალური მოწყობილობანი. ჩვენ მათ გამოთაყვანების მანქანებს ვუწოდებთ.

გეგმური ეკონომიკა ადამიანისგან მოითხოვს შეგნებულ არჩევანს ან გონიერების სასარგებლოდ ან სისულელის სასარგებლოდ. მაგრამ ველოდოთ ამას, ადამიანებისგან – უადამიანობაა.

თუმცა გჯეროდეს თავისუფალი საკონკურენტო ბრძოლისაც (მოთხოვნილებასა და შეთავაზებას, სისულელესა და გონიერებას) – ასევე გულუბრყვილობაა. ყოველგვარი ბაზრის მთავარი ამოცანა კი, რასაკვირველია, არის ის, რომ გვაიძულოს ჩავიდინოთ სწორედ სისულელე. ბაზარში ხომ იმ მიზნით არ მივდივართ, რომ შევიცნოთ იგი, არამედ უბრალოდ ინტერესის გამო. გვიბიძგებს, ერთი მხრივ, რაღაც ახლისადმი ცნობისმოყვარეობა, მეორე მხრივ, სურვილი მივიღოთ სარგებელი ან მივიღოთ კმაყოფილება, ჩვენ პირდაპირ ვცვივდებით გამოთაყვანების ამა თუ იმ მანქანის თათებში. იმისთვის, რომ ვინმე გავაბრიყვოთ, ჩვენთვის სულაც არაა სავალდებულო ვიცოდეთ, გონიერია თუ არა ის, საკმარისია გამოვარკვიოთ, რა ინტერესები აქვს მას. მხოლოდ იდეით ძნელად რომ შეძლო ვინმეს მოხიბვლა, თუ ვერ მოახერხებ, დააინტერესო კიდეც და, პირიქით, ჩვენ მზად ვიქნებით წავიდეთ რაიმე სისულელეზე, თუ ეს შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ ასე მოგვეჩვენება.

სისულელეების ჩადენა უხდებათ მეტად გონიერ ადამიანებსაც, ვინაიდან მათი გადაწყვეტილებებიც ყოველთვის როდია ნაკარნახევი მხოლოდ გონებით. შეუძლია თუ არა თავდაპირველ კეთილ განზრახვებს ან მომდევნო გულწრფელ მონანიებას იყოს სულელური ქცევის გამართლება – სადავო საკითხია. მაგრამ თუ სისულელე – საკუთარი თუ სხვისი – უდავო და ცხადია? მაშინ შეიძლება, მაგალითად, მივმართოთ თეატრის მომსახურებას. არის ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც სპეციალიზდებიან სისულელის რეაბილიტაციაზე. უფრო მეტიც, სისულელე მათი დახმარებით ხდება კიდეც რაღაც გასართობი, საყვარული, მისატევებელი, ეთიკური და ადამიანური. ამ ინსტიტუტებსაც ჩვენ გამოთაყვანების მანქანებს ვუწოდებთ.

ცხადი ხდება, რომ გამოთაყვანების მანქანების გარეშე ვერაფერს შევძლებთ. თუმცა უკეთესიც მათგან არაფერი არ ხდება. გამოთაყვანების მანქანები უზრუნველყოფენ კაპიტალიზმისა და დემოკრატიის ფუნქციონირებას, უფრო ზუსტად, ისინი ახდენენ იმ ხახუნის კოლოსალური ენერგიის ამორტიზირებას, რომელიც ჩნდება მათ შორის.

ცნობილია, რომ ნებისმიერი მანქანა, რათა თავისი თავი გამოისყიდოს, უნდა მუშაობდეს მოგებით, თუმცა მოგების ნორმა, ექსპლუატაციის შესაბამისად, განუხრელად მცირდება. ამიტომ მანქანა პირველივე დღიდან იძულებულია იბრძოლოს თავისი არსებობისთვის. იგი მუდმივად უნდა ხდებოდეს სრულყოფილი, რათა არ აღმოჩნდეს გამოდევნილი ახალი, უფრო „სრულყოფილის“ მიერ. და მაინც, ადრე თუ გვიან, მისი დრო თავდება. ხმარებიდან გამოსული და მუზეუმის ექსპონატად ქცეული გამოთაყვანების მანქანები, როგორც ყველა სხვა მანქანა, უფრო უწყინარები ხდებიან და საყვარლებიც კი. გაზეთ „ბილდის“ დღევანდელი გამოშვება არაფერს იწვევს, გარდა ზიზღისა მაშინ, როდესაც ოცი წლისწინანდელ ნომერს ფურცლავ გულწრფელი ინტერესით, ზოგჯერ კი ნოსტალგიის ამოოხვრით. მიწისქვეშა სამანქანო მეტროპოლისი იმავე სახელწოდების ექსპრესიონისტული ფილმ-ანტიუტოპიდან – ესაა სასწაულებრივი მოლოხი, რომელიც პირდაპირი გაგებით, ნთქავს ადამიანებს, მაგრამ მაინც არც ისე საშინელია, როგორც თანამედროვე რობოტებით აღჭურვილი რომელიმე ავტომობილსაშენებელი კომბინატის საამქრო (თუმცა, დღეს ისიც შეიძლება მოგვეჩვენოს არც თუ ისე აუტანელი იმასთან შედარებით, რაც სამომავლოდ გველოდება). მანქანები – რაც გა-

საგები უნდა იყოს ჩვენთვის უკვე პირველი მათგანის ამოქმედების შემდეგ — მუდმივად გვემუქრებიან, რომ გამოვიდნენ კონტროლიდან, უკუღმა შეატრიალონ ისტორიის ბორბალი, ააფეთქონ ის წესრიგი რისი საყრდენიც უნდა ვყოფილიყავით მოწოდებით, და სამომავლოდ, ვინ იცის, ისინი შეიძლება გახდნენ ქაოსისა და ტერორის გერები. ამიტომ საზოგადოება, რომელმაც თავისი წევრების კეთილდღეობისთვის გამოიგონა გამოთაყვანების მანქანები, ცხოვრობს მუდმივ შიშში, რომ გადაიქცევა ამ მანქანების მძევლად, შიში ქაოსის წინაშე, რომელშიც მათ შეუძლიათ იგი მოაქციონ. ამრიგად, გამოთაყვანების ნებისმიერი მანქანა, კეთილდღეობის შეგრძნების გარდა, ახდენს კიდევ შიშის გრძნობის გენერირებას — ასეა იგი აწყობილი.

აი რატომაა, რომ გამოთაყვანების მანქანები იძულებული არიან არა მხოლოდ მუდმივად გვიჩვენებდნენ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ (ნაწილობრივ კი მორალურსა და ესთეტიკურ) ეფექტიანობას, არამედ გვიდასტურებენ თავიანთ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. გამოთაყვანების მანქანების გამო — ხმამაღლა მათ ასე, რასაკვირველია, არავინ უწოდებს — მიმდინარეობს უწყვეტი დავები. და ხშირად მათი ბედი დამოკიდებულია სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტზე (რომელიც არეგულირებს და ამავდროულად რეგულირდება

# თავისუფალი ერთდროულად უფრო სულელს?

## იდიოტიზმის მასობრივი წარმოება"

ბაზრის მიერ), კერძოდ კი სახელმწიფოზე, რომელიც ხან კმაყოფილებით, ზოგჯერ კი ჭრაჭუნით გასცემს მათზე ლიცენზიას არსებობისათვის.

გამოთაყვანების მანქანები თავისთავად სულაც არ არიან უგუნურები! უბრალოდ, მათი დანიშნულება არის ის, რომ დაბლა დასწიონ ადამიანის უნარი — დაინახოს, გააკეთოს დასკვნები, გაუზიაროს თავისი აზრი და კრიტიკულად შეაფასოს მომხდარი — ადვილად მოსანელებელ მინიმუმამდე. თუმცა არ გადალახო სისულელის დასაშვები ზღუდე, თურმე, საკმაოდ რთული ყოფილა. ყველა ჩვენგანს, დღეს რომ ასე გაწაფულები ვართ პოლიტექნოლოგებსა და სოციალურ ინჟინერიაში, შესანიშნავად გვესმის, რომ საუბარია სინამდვილეში არა ინტელექტის ბრძოლაზე უგუნურებასთან, არამედ უგუნურების სწორ მიწოდებაზე და სწორ დოზირებაზე (ოღონდ, მთლად ცხადი არაა, თუ აქ უკვე ვინ ვის მართავს: მემანქანეები გამოთაყვანების მანქანებს, თუ პირიქით?), ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ერთი და იგივე ადამიანები ხან საყვედურობენ თავიანთ თანამეცხედრეებს ზედმეტი კრიტიკულობისათვის, სკეპტიციზმისათვის და მიდრეკილებისათვის კონსპიროლოგიისაკენ, ხან აშინებენ მათ გამოთაყვანების მანქანების დამღუპველი ზემოქმედებით. ერთსა და იმავე ადამიანს შეუძლია უტყუარო პათოსით ლანძღოს „წყეული კერძო ტელეარხებიც", „წყეული ინტელიგენტური ჭკვიანობაც", დაიცვას „გამოთაყვანების" საფრთხისაგან და იმავე დროს „დესტრუქციული კრიტიკის" შედეგებისაგან. რაც ერთისთვის — ჭეშმარიტების რუპორია, სხვებისთვის — გამოთაყვანების იარაღი. ნებისმიერი მანქანა კარგია მანამდე, სანამ ჩვენს ინტერესებს ემსახურება.

**გამოთაყვანების მანქანები კაპიტალიზმის განუყოფელი ნაწილია, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ სხვა პირობებში შეუძლებელია გახდე იდიოტი ან სხვა გახადო იდიოტი. მაგრამ კაპიტალიზმის დროს გამოტვინება იქცევა საქონლად, საქონელი კი — მასობრივი გამოტვინების საშუალებად, იდიოტიზმის წარმოება ხდება მეტად მომგებიანი საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავინ მოჰკიდებდა ხელს.**

მაგრამ ჩვენ მარტო ინტერესებისა და მოხერხებულობისათვის კი არ მივმართავთ გამოთაყვანების მანქანებს, არამედ შიშის გამოც. შეიძლება ასეც ითქვას: გამოთაყვანების მანქანები, როდესაც აქვეითებენ ჩვენს შესაძლებლობას — დავინახოთ და გავაკეთოთ დასკვნები — ახშობენ ჩვენს სურვილებსა და შიშებსაც. დავძლიოთ შიში, რომლის გენერირებასაც გამოთაყვანების მანქანა ახდენს, თურმე, გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე შიში, რომელიც გვაგიჟებს რეალურ ცხოვრებაში. თუმცა არის სხვა თვალსაზრისიც: ეს მანქანები შიშებს წარმოქმნიან უფრო მეტსაც, ვიდრე ახშობენ. ჩვენი წარმატებული გამოთაყვანების შესახებ მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერც ვამჩნევთ, თუ როგორ ადვილად გადავდივართ სამართლიანი აღშფოთებიდან სრულ გულგრილობაში. დღეს ნამდვილი სკანდალია: კომპიუტერული თამაშები წარმოქმნიან მკვლელ-მანქანებს, ხვალ განგაში წყდება: თურმე, ყველაფერი არც ისე საშინელი ყოფილა. და შედეგად, როგორც ყოველთვის: ვიხმაურეთ — ვიყაყანეთ და დავივიწყეთ.

სისულელისა და გონიერების, სურვილებისა და შიშების, ცხოვრების წყურვილისა და სიცოცხლის შეუძლებლობის უწესრიგო ნაზავის გადასხვაფერებით, ყოველივე ამის გარდაქმნით რედუცირებულ, ესე იგი მსოფლიოს „გამოთაყვანებულ" სურათად, გამოთაყვანების მანქანები ამ გამოთავისუფლებულ ენერგიას ათავსებენ სოციალურად სასარგებლო კალაპოტში. ეს მანქანები უხილავი კედლით გვიცავენ გარდაუვალი კატასტროფისაგან. იცხოვრო გამოთაყვანების მანქანების გარემოში — იქნება ეს ტელეხედვა თუ პოლიტიკა, ენა თუ ვიზუალური სახეები, სახელგანთქმული ილუსტრირებული ჟურნალების ჩართვით, — ნიშნავს იყო თანაბრად აღგზნებული სურვილებით და პარალიზებული შიშებით, ხომ სწორედ სურვილები და შიშები ხატავენ ჩვენი ცხოვრებისეული მოღვაწეობის წრეს, გვიკარნახებენ ჩვენს „თავისუფალ არჩევნებს".

გამოთაყვანების მანქანები იცავენ ჯერ, მაგალითად, დემოკრატიას, შემდეგ პოსტდემოკრატიას მასების ზედმეტი აქტივობისგან, ყოველგვარი საქმისაგან, რომელიც არის გამორჩეული **(როგორ უადგილოდ გაიჟღერებდა დღეს გოეთეს ცნობილი მაქსიმა: „თავდაპირველად იყო საქმე")** . და რასაც არ უნდა შთაგვაგონებდეს გამოთაყვანების მანქანა, იგი მუდმივად ჩაგვჩიჩინებს ყურში: „უჩემოდ ყველაფერი გაცილებით უარესად იქნებოდა!" (დავუშვათ, ახალი ამბები — აბსოლუტური სიცრუე, რეპორტაჟები — მხოლოდ კამუფლაჟი რეკლამისთვის, ტელევიქტორინები იმდენად დებილურია, რომ ბავშვებმაც კი იციან, ისტორია გადასლექილი და დაუთოებულია რაღაც დამტკბარი ეროვნული მითით, და რას ნიშნავს ეს? სამაგიეროდ — სიტყვის თავისუფლება მის მულტიმედიურ ვარიანტში! არ მოგწონს? შეიძლება ამოჭრა! გეზიზღება, თურმე, სილვიო ბერლუსკონის ბილწსიტყვაობა? იქნებ მაშინ **ორეულის** დიდი ძმა უფრო შეგეფერება გემოვნების მიხედვით?).

გამოთაყვანების მანქანები კაპიტალიზმის განუყოფელი ნაწილია, რაც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ სხვა პირობებში შეუძლებელია გახდე იდიოტი ან სხვა გახადო იდიოტი. მაგრამ კაპიტალიზმის დროს გამოტვინება იქცევა საქონლად, საქონელი კი — მასობრივი გამოტვინების საშუალებად, იდიოტიზმის წარმოება ხდება მეტად მომგებიანი საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავინ მოჰკიდებდა ხელს. თუმცა გამოთაყვანების მანქანების არსებობის ახსნა მხოლოდ მომგებიანობითაც არ შეიძლება.

კიდეც რომ ვაღიაროთ, რომ კაპიტალიზმი წარმოიქმნა თავად ბუნებით და არის, ვთქვათ ასე, ცხოვრების რეალურ პირობებთან შეგუების ყველაზე ოპტიმალური ფორმა, ყველა მისი ცნობილი ანომალიებითა და უკიდურესობებით, ისეთებით, როგორებიცაა გამაოგნებელი გონიერება და გამაოგნებელი სისულელე, და მაინც, როგორც ხშირად გესმის მოდურ ელეგანტურ კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდებისაგან: „განა კაპიტალიზმშია ყველა ბოროტების მიზეზი". ამას გარდა, რატომ მოვიკატუნოთ თავი, კაპიტალიზმის დროს ცხოვრება საკმაოდ მხიარულია. სანამ, რასაკვირველია, არ გაჩაღებულა მორიგი კრიზისი, თქვენი საკუთარი თუ საყოველთაო. ამიტომ არ ჩქარობენ კაპიტალიზმის აპოლოგეტები და იდეოლოგები, დაინახონ მის ექსცესებში მისი ბუნებრივი არსის გამოვლინება. ვინაიდან თუ ბაზრის კანონებს მივიჩნევთ ბუნების კანონების პირდაპირ ანარეკლად — ბუნებისადმი გონიერებისა და უგუნურობის კატეგორიები კი, როგორც ცნობილია, გარდაუვალია, მაშინ უაზრობაა — ვიქონიოთ იმედი მის რაიმე კორექტირებასა და ალაგმვაზე. არ ისწრაფვის თავად კაპიტალიზმი მოახდინოს თავისი „ბუნებრივი ბუნების" აფიშირება, და არ იქაჩება იყოს ყველაფერში თანმიმდევრული და ბოლომდე გასაგები. ამიტომ იგი უბრალოდ კი არ იყენებს სისულელეს მთავარ რესურსად, არამედ თავადაც გვაჩვენებს თავს უგუნურად, და რეალურობაში ასეთიც ხდება.

**გამოდის, რომ კაპიტალიზმი ჩნდება, როგორც ბუნების პროდუქტი, ჩვენ კი წარმოგვიდგება, როგორც ადამიანური კულტურის პროდუქტი. ზუსტად ისე, როგორც ეს უგუნურობას ემართება. თუმცა ორივე შემთხვევაში დამოკიდებულება შეიძლება საპირისპირო იყოს. აი რატომაა, რომ გამოთაყვანების მანქანების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ბუნებასა და კულტურას შორის სხვაობის ნიველირება.**

**ჟურნალი „ინოსტრანნაია ლიტერატურა"**
2015 წ. №10.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გზა ნატოში შავი ზღვის გავლით

**საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი თინა ხიდაშელი მონაწილეობას ღებულობს ნატოს თავდაცვის მინისტერიალში, რომელიც ბრიუსელში გაიხსნა. საქართველო-ნატოს სამუშაო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართება 12 თებერვალს, მაგრამ უკვე 11 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ თბილისს შეუძლია შეუერთდეს შავი ზღვის რეგიონის უშიშროების სისტემას, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ქმნის.**

საქართველო აპირებს შეიტანოს თავისი წვლილი შავი ზღვისპირეთის უშიშროების უზრუნველყოფაში. ბრიუსელში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა არ გამორიცხა, რომ თბილისი შეუერთდება უშიშროების სისტემას, რომელსაც შექმნის ნატო. საკითხი შეეხება შავი ზღვის რეგიონში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალების გაზრდის პროცესს. საქართველო, მართალია, ჯერჯერობით არ არის ბლოკის წევრი, მიუხედავად ამისა, არ სურს დარჩეს გვერდით, აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

**„შავი ზღვის უშიშროება ერთ-ერთი მთავარი აქტუალური თემაა. ეს საკითხი ნატოს დღის წესრიგში გაჩნდა ყირიმის ოკუპაციის შემდეგ. ამ რეგიონში არის ნატოს 3 წევრი-ქვეყანა და 2 პარტნიორი-სახელმწიფო. ბუნებრივია, ყველა პარტნიორის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ააგო რაიმე ახალი სისტემა, ან უშიშროების არქიტექტურა. ჩვენი ამოცანაა, რომ საქართველო გახდეს შავი ზღვის რეგიონის უშიშროების სისტემის თანაბარი პარტნიორი, რასაც ნატო ქმნის",** — განაცხადა ხიდაშელმა.

ამასთან ერთად, მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არის არა მხოლოდ თბილისის სურვილი, არამედ ასეთი განწყობილება აქვთ პარტნიორებსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან.

ქართველი მინისტრის სიტყვები, არსებითად, დაადასტურა ნატოს თავად გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თავისი გამოსვლის დროს.

**„ნატომ უკვე გააფართოვა თავისი ყოფნა შავ ზღვაზე, და ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს მოვლენათა განვითარებას, ჩვენ უკვე გავაფართოვეთ არა მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ყოფნა. ჩვენ გვაქვს თვალყურის დევნების სისტემა. ჩვენი ძალები არის რუმინეთში, ბულგარეთსა და თურქეთში. ჩვენ ასევე ვმუშაობთ მჭიდრო კონტაქტში ჩვენს ახლო პარტნიორთან — საქართველოსთან. ეს არის მეტად მჭიდრო თანამშრომლობა, რომელსაც, რასაკვირველია, აქვს დამოკიდებულება იმ გამოწვევებთან, რასაც ვხედავთ შავ ზღვაზე (რეგიონში)",** — ხაზგასმით აღნიშნა სტოლტენბერგმა.

ამას გარდა, გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ „უკვე დროა, რომ საქართველო ემზადებოდეს ნატოში წევრობისათვის, ვინაიდან მას აქვს ყველა აუცილებელი პრაქტიკული ინსტრუმენტი".

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თბილისს შეუძლია მიიღოს მაპი უკვე ნატოს მომავალ მორიგ სამიტზე ვარშავაში, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში გაიმართება. საქმე ისაა, რომ წინა დღით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, რომ „ნატოს წევრ სახელმწიფოთა შორის ჯერჯერობით არ არის თანხმობა საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ". საქართველოს მხარის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ეტყობა, არ სურთ, რომ დროს წინ გაუსწრონ, ჯეიმს აპატურაის სიტყვები კომენტარების გარეშე დატოვეს.

სამაგიეროდ, „ეხო კავკაზასთან" თავისი აზრი გამოთქვეს ქართველმა ექსპერტებმა. მაგალითად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ატლანტიკის საბჭოს" აღმასრულებელი მდივანი გიორგი მუჩაიძე მიიჩნევს, რომ, ვისაუბროთ საქართველოსთვის მაპის მინიჭების ალბათობის შესახებ, ჯერჯერობით ნაადრევია, ვინაიდან ბლოკის ზოგიერთი წევრი-ქვეყნის პოზიცია მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს: **„ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მაპის მიღება ჩვენი მთავარი ამოცანა არაა. ჩვენი საბოლოო მიზანი — ესაა ნატოში შესვლა. ჩვენ გვეკისრება გარკვეული ვალდებულებები და უნდა შევასრულოთ ისინი მაქსიმალურად ხარისხიანად და მინიმალურად სწრაფ ვადებში. აქედან გამომდინარე, ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის აუცილებლად იქნება მიღწეული კონსენსუსი და ჩვენ მოგვცემენ მაპს და მიგვიღებენ ნატოში".**

თავის მხრივ, ქართველი სამხედრო პოლიტიკოსი თემურ ჩაჩანიძე არ გამორიცხავს, რომ ნატო განგებ აჭიანურებს საქართველოსთვის წევრობის მოქმედებათა გეგმის მინიჭების პროცესს. და, ექსპერტის აზრით, ეს კეთდება თავად საქართველოს უშიშროებისათვის.

**„რუსეთისა და დასავლეთის დამოკიდებულებანი იმდენადაა გამწვავებული, რომ, შესაძლებელია ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობს ააშოროს საქართველოს პოტენციური საფრთხე, რაც, ნატოსთან ძალიან აშკარა დაახლოების ფონზე, შეიძლება გახდეს რუსული მორიგი აგრესიის მიზანი. თუმცა, მაპი შეიძლება არ მისცენ იმიტომაც, რომ საქართველოს ჯერ არ შეუსრულებია ყველა ვალდებულება, რაც მას აკისრია",** — შეაჯამა ბატონმა ჩაჩანიძემ.

Эхо Кавказа

## ძიუდო



# ჭრიკიშვილი გაერთიანებულ რეიტინგს სათავეში მოექცა

**პარიზის გრანდ სლემზე მოპოვებული წარმატების შემდეგ ავთანდილ ჭრიკიშვილმა 500 სარეიტინგო ქულა გამოიმუშავა და მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილზე გადავიდა. მან რეიტინგში საფრანგეთის ნაკრების ლიდერს, ოლიმპიურ და მსოფლიოს 8-გზის ჩემპიონს ტედი რინერს (+100 კგ) გადაასწრო.**

ჭრიკიშვილს 3340 ქულა დაუგროვდა, ხოლო რინერის აქტივში 3000 ქულაა. საერთო რეიტინგში მე-6 ადგილზე იმყოფება ვარლამ ლიპარტელიანი, 31-ე ადგილს იკავებს ბექა ღვინიაშვილი, 34-ე ადგილზეა ამირან პაპინაშვილი, 41-ეზე – ნუგზარ ტატალაშვილი და 44-ეზე – ადამ ოქრუაშვილი. სხვა ქართველი ძიუდოისტები 50-ეულში არ არიან.

შეგახსენებთ, რომ პარიზში 6-7 თებერვალს გამართულ ძიუდოს გრანდ სლემზე საქართველოს ნაკრების წევრებმა 1 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ჭრიკიშვილი (81 კგ.) გახდა, ბრინჯაოს მედალი კი ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ.) მოიპოვა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ფეხბურთი

# „დორტმუნდის“ ქომაგების პროტესტი

**დორტმუნდის „ბორუსიის“ გულშემატკივრებმა მომავალი სეზონიდან თავიანთი საყვარელი გუნდის საშინაო თამაშებზე ბილეთების გაძვირება გააპროტესტეს. კერძოდ, დორტმუნდელმა ქომაგებმა გერმანიის თასზე „შტუტგარტთან“ გასვლითი მატჩის საწყის ოც წუთში მოედანზე მაგიდის ჩოგბურთის ბურთები ისროლეს, რითაც თამაშის მიმდინარეობას ხელი შეუშალეს. ამასთან, ტრიბუნაზე დიდი ბანერი გააკრეს წარწერით: „ფეხბურთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს“.**




საქმე ისაა, რომ „დორტმუნდის“ ხელმძღვანელობა დამდეგი სეზონიდან „სიგნალ იდუნა პარკზე“ ბილეთების 70 ევრომდე გაძვირებას გეგმავს, რაც გულშემატკივრებს არ მოსწონთ. აღნიშნული შეხვედრა კი „ბორუსიამ“ 3:1 მოიგო და გერმანიის თასის მომდევნო ეტაპზე გავიდა. **„ლევერკუზენი“ – „ვერდერი“ 1:3, „ჰაიდენჰაიმი“ – „ჰერტა“ 2:3, „ბოხუმი“ – „ბაიერნი“ 0:3.**

**გიორგი შოთაძე**

## სანთელი

# ჯემალ მელაძე



ჯემალ მელაძეს ამ ორიოდე თვის წინათ მივულოცეთ 60 წლის იუბილე. რას წარმოვიდგენდით, რომ სპორტული სამყაროს ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრი, თაობათა აღმზრდელი ასე უეცრად გამოგვეცლებოდა ხელიდან.

ჭეშმარიტად სახალხო მწვრთნელი, პრინციპული და სამართლიანი პიროვნება სულსა და გულს აქსოვდა როგორც შეგირდთა დაოსტატებაში, ისე მათი ადამიანური თვისებების ფორმირებაში.

მართალია, მისთვის უცხო არ იყო ამქვეყნიური სიამენი, მაგრამ ოჯახური დრამის შემდეგ სამშობლოში გაუსვრელ კაცად დაბრუნდა და ასეთი გვემახსოვრება მუდამ.

ნათელი და სანთელი, ძმაო!

**მეგობრები**

## სამთო თხილამურობა

# პირველად – გოდერძის უღელტეხილზე

**ქართველმა სამთო მოთხილამურეებმა ქვეყნის თასის გათამაშების მესამე ეტაპზე იასპარეზეს. შეჯიბრებას ახალმა სამთო კურორტმა – გოდერძის უღელტეხილმა პირველად უმასპინძლა. საპრიზო ადგილებისთვის მესტიის, ბაკურიანის, აჭარისა და გუდაურის სასპორტო სკოლების სამოცამდე წარმომადგენელი იბრძოდა სამ ასაკში.**



**კვარცხლბეკი**

**სპეციალური სლალომი**

**გოგონები.** 2002-2003 წლებში დაბადებულნი. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 2.02,69), 2. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 2.45,93). 2000-2001 წ.წ. 1. კატო გოცირიძე (გუდაური, 1.56,30), 2. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 1.57,24), 3. მაგატა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.58,53). 1999 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი. 1. მარიამ ჭკადუა (სვანეთი, 2.05,71).

**ვაჟები.** 2002-2003 წ.წ. 1. ნოდარ კოზანაშვილი (1.55,79), 2. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 2.07,45), 3. ედნარ ჯორბენაძე (აჭარა, 2.17,13). 2000-2001 წ.წ. 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.44,23), 2. ლევან ბოგიშვილი (ბაკურიანი, 1.53,58), 3. ლაშა ჯაფარიძე (სვანეთი, 1.58,86). 1999 წ. და უფრო ადრე დაბადებულნი 1. თენგიზ მეხეშიძე (აჭარა, 1.56,28), 2. ლაშა მეხეშიძე (აჭარა, 1.59,15).

**გიგანტური სლალომი**

**გოგონები.** 2002-2003 წ.წ. 1. ნინო კურტანიძე (ბაკურიანი, 1.11,82), 2. მარიამ პაქსაძე (აჭარა, 1.24,55), 3. ანა მაზმიშვილი (ბაკურიანი, 1.28,76). 2000-2001 წ.წ. 1. კატო გოცირიძე (გუდაური, 1.09,85), 2. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.10,24), 3. ანა ჩართოლანი (სვანეთი, 1.12,9). 1999 წ. და უფრო ადრე დაბადებულნი 1. მარიამ ჭკადუა (ბაკურიანი, 1.13,53), 2. ელზა ჭაღელიძე (აჭარა, 1.21,53), 3. დიანა ჯორბენაძე (აჭარა, 1.26,85).

**ვაჟები.** 2002-2003 წ.წ. 1. ნოდარ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.13,53), 2. თადეოზ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.14,25), 3. ავთო ჯაფარიძე (სვანეთი, 1.15,59), 2000-2001 წ.წ. 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.06,94), 2. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 1.07,92), 3. გიორგი ქურდღოღლიანი (ბაკურიანი, 1.11,29). 1999 წ. და უფრო ადრე დაბადებულნი 1. ანზორ ჯაფარიძე (სვანეთი, 1.08,87), 2. გოჩა ჯორბენაძე (აჭარა, 1.11,20), 3. ლაშა მეხეშიძე (აჭარა, 1.11,56).

**ლაშა დიდია**

## რაგბი

# ალექსეი შჩერბანი: რუმინეთთან და საქართველოსთან მატჩებს საუკეთესო ფორმაში შევხვდებით



**კრასნოიარსკის „ენისეისა“ და რუსეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ალექსეი შჩერბანი ფიქრობს, რომ „დათვები“ მთავარ კონკურენტებთან – რუმინეთთან და საქართველოსთან მატჩებს საუკეთესო ფორმაში შეხვდებიან.**

2016 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში რუსებმა ესპანეთს ტაიმი 14:6 მოუგეს, 75-ე წუთზე 17:20 ჩამორჩნენ, მაგრამ, თამაში რომ განახლდა, ლელო გაიტანეს და საბოლოოდ 22:20 იმარჯვეს. ხვალ რუსები გერმანელებს მასპინძლობენ და შჩერბანმა რუმინეთისა და საქართველოს გარდა განვლილ და უახლოეს შეხვედრაზეც ისაუბრა.

„ესპანეთთან მატჩში უამრავი შეცდომა დავუშვით. ჩვენი სისუსტეების დანახვის კუთხით ესპანეთთან თამაში უმნიშვნელოვანესი იყო. ახლა სწორედ ამ შეცდომების გამოსწორებაზე ვმუშაობთ და ვეცდებით გერმანიასთან უკეთ ვითამაშოთ. მაგრამ ისე არავინ გაიგოს, თითქოს გერმანელებს სათანადოდ არ ვაფასებთ. მეტოქეს კარგი გუნდი ჰყავს და თუ მოვდუნდებით, პრობლემები შეგვექმნება. ვფიქრობ, რუმინეთთან და საქართველოსთან თამაშებისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნებით“ – თქვა შჩერბანმა.

რუსეთი რუმინეთს სტუმრად 27 თებერვალს ეთამაშება, ხოლო საქართველოს ნაკრებს 12 მარტს სოჭში დაუხვდება.

**კოზა კოზახიძე**

## ფორმულა – 1

# „მერსედესის“ ახალი ძრავი 900-ზე მეტი ცხენისძალით

**„მერსედესმა“ აღიარა, რომ ახალი სეზონისთვის მომზადებული ძალური დანადგარი ჯამში 900 ცხენის ძალაზე მეტს გამოიმუშავებს და ის გაცილებით უკეთესია იმ აგრეგატზე, რომლითაც გასულ სეზონში სამქიმიანებმა ზედიზედ მეორედ შეძლეს კონსტრუქტორთა თასზე და პილოტთა ჩემპიონატზე გამარჯვება. მეტოქეები იმედოვნებენ, რომ სამქიმიანებმა თავიანთი აგრეგატის პოტენციალი სრულად ამოწურეს, თუმცა, „მერსედეს-AMG-ს“ ძრავების პროგრამის შეფი ენდი კოუელი ამბობს, რომ მათ ძრავას კიდევ ბევრის მიღწევა შეუძლია.**



„გასულ სეზონში ჩვენ წინ უზარმაზარი ნაბიჯი გადავდგით. და ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც განვითარების პროცესი შეიძლება შეფერხდეს. ლიმიტისთვის არ მიგვიღწევია. თერმული ეფექტურობის მხრივ რასაც მივაღწიეთ, ამის წარმოდგენაც კი ძნელია“, – „მერსედესის“ ბრიქსუორტის ცენტრში მედიასთან შეხვედრისას განაცხადა კოუელმა.

ფორმულა 1-ის თანამედროვე ძრავების რეგლამენტით მთავარი სწორედ თერმული ეფექტურობაა, რადგან გუნდებს საწვავის შეზღუდული რაოდენობის გამოყენების უფლება აქვთ. ასეთ სიტუაციაში რაც უფრო თერმოეფექტურია ძრავი, მით მეტ ენერგიას გამოიმუშავებს. კოუელმა განაცხადა, რომ ამჟამად „მერსედესის“ აგრეგატის სიმძლავრე 900 ცხენის ძალაზე მეტია და ეს იმ პროგრესის შედეგია, რომელიც კომპანიას ახალი სეზონისთვის მზადებისას ჰქონდა.

კოუელის თქმით, გასულ სეზონში „მერსედესის“ ძრავის თერმული ეფექტურობა 45 პროცენტი იყო. ახალი სეზონისთვის მზადებისას კი პროგრესი ისეთივე სოლიდურია, როგორიც წინა სეზონისთვის მზადებისას იყო. ოღონდ, კოუელს სიმძლავრის გარდა, სხვა მახასიათებლები არ დაუკონკრეტებია. მან მხოლოდ ის თქვა, რომ, ასეთი პროგრესის მიუხედავად, აგრეგატს კვლავაც განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს.

„ჩვენ განვითარებას გავაგრძელებთ. რა თქმა უნდა, ეს თანდათან სულ უფრო ძნელი იქნება. ბევრი ისეთი არეალია, სადაც მცირე წინსვლა შეგვიძლია. ეს ოქროს მოპოვებასავითაა – ბევრს მუშაობ, ბევრი მტვრის ყლაპვა გიწევს და უცებ ნახულობ დიდ თვითნაბად ნატეხს, რომელიც სიამოვნებას განიჭებს. ჩვენც ვპოულობთ ასეთ თვითნაბად ნატეხებს“, – ამბობს კოუელი და დასძენს, რომ ყველაზე მეტად, ძრავი თერმული ეფექტურობის მხრივ ვითარდება.

ოპტიმიზმის მიუხედავად, კოუელი დარწმუნებულია, რომ არც მეტოქეებს სძინავთ. ის აღნიშნავს, რომ „ჰონდაც“ კი, რომელსაც გასულ სეზონში ჩავარდნა ჰქონდა, ყურადღების მიქცევას საჭიროებს. მისი თქმით, გასულ სეზონში „ფერარის“ უზარმაზარი წინსვლა ჰქონდა, რაც მათი გადაწყობის და ენთუზიაზმის შედეგია, „ჰონდამ“ კი გაკვეთილი მიიღო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს. ამასთან, „მაკლარენსაც“ უზარმაზარი გამოცდილება აქვს, რაც სწრაფ წინსვლაში დაეხმარება.

**მანუჩარ გიორგაძე**

# ებრაელები აჭარით დაინტერესდნენ, ეს უკვე მიღწევაა

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტენდი ისრაელის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში IMTM-2016 განსაკუთრებული ხალმრავლობით გამოირჩევა. აჭარა გამოფენაზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთადაა წარმოდგენილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტენდის სტუმართა უმრავლესობა განსაკუთრებულ ინტერესს აჭარის მიმართ იჩენს. დეპარტამენტი რეგიონის ტურისტულ პოტენციალს გამოფენაზე სამი დღის განმავლობაში 9-11 თებერვალს წარადგენს.**

„თელავივის 21-ე საერთაშორისო ტურისტული გამოფენა“ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული გამოფენაა, მასში 40-ზე მეტი ქვეყნის 1200-მდე მონაწილეა ჩართული. გამოფენის ფარგლებში დეპარტამენტის წარმომადგენელმა სამომავლო თანამშრომლობის მიზნით არაერთი საქმიანი შეხვედრა გამართა ისრაელის ტურსააგენტოებთან და მარკეტინგულ კომპანიებთან.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ისრაელში მარკეტინგულ კამპანიებს 2012 წლიდან ახორციელებს. მიმდინარე წელს დეპარტამენტი პიარ და სარეკლამო აქტივობებს ისრაელში მარტიდან გეგმავს, რაც კიდევ უფრო გაზრდის აჭარაში ისრაელიდან შემოსულ ვიზიტიორთა რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს წინა წელთან შედარებით რეგიონში 19,9 %-ით მეტი ებრაელი ტურისტი შემოვიდა.




**უახლოესი მეგობრები ვახუშტი ქიზიყურაშვილი, ვაჟა მამაიაშვილი, თამაზ კობაიძე, ილო თუშიშვილი, გოდერძი გონაშვილი, ბაკურ გულუა, ნანა ჭიჭინაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დედოფლისწყაროს რაიონის ღვინის ქარხნის პირველი დირექტორი, ღირსეული პიროვნება, სოფლის მეურნეობის დარგის დიდებული სპეციალისტი, ჭეშმარიტი ქველმოქმედი, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის აქტიური წევრი**

**ჯემალ ნიკოლოზის ძე ყორიაშვილი**

**და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს. დაკრძალვა 13 II, 13 სთ. დედოფლისწყაროში, 9 ძმის ქ. №3.**

⊙ ჩვენი ენა, ქართული!

# ქართულ-გერმანული მოლაპარაკება თუ საქართველო-გერმანიის მოლაპარაკება?

რა თქმა უნდაო, იტყვით ალბათ, ამ წინადადების მეორე ნაწილია სწორიო. და ცამდე მართალი იქნებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი ფიქრობს ასე. რუსული ენისათვის ბუნებრივი ზედსართაული სახელების – მაგალითად: Европейская система безопасности, армяно-азербайджанский конфликт, российский президент, ооновские миротворческие силы, англо-бурская война, франко-немецкие переговоры, парламентские (президентские‘ выборы და მრავალი სხვა – წარმოებისა და ხმარების მოდელი დაუფიქრებლად გადმოვნერგეთ ქართულში და ვამბობთ და ვწერთ: **ევროპული** უშიშროების სისტემა, **სომხურ-აზერბიჯანული** კონფლიქტი, **ფრანგულ-გერმანული** მოლაპარაკება, **საპარლამენტო (საპრეზიდენტო)** არჩევნები, **სამხრეთ-კავკასიური** მილსადენი, **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქცია, **მუსიკალური** სკოლა, ადამიანის უფლებათა დაცვის **ევროპული** სასამართლო, **ათენური** ოლიმპიადა, და როგორც ყოველივე ამის გვირგვინი: „პატრულირებაში... უნდა მიიღონ მონაწილეობა **ქართულმა, აფხაზურმა** და **გაეროს** წარმომადგენლებმა“ (გაზეთი), „...აქ შეიკრიბა **კახური** ელიტა“ (ტელევიზია). თითქოს საქმე კახურ პურ-ღვინოს ან ჩურჩხელას ეხებოდეს.

ამავე რიგს განეკუთვნება ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში უადგილოდ ნახმარი და ამიტომ ქართულისათვის შეუფერებელი ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიც არის, მაგალითად „წალკის **ბერძნულმა მოსახლეობამ**“... (ტელევიზია), **„ქართული** სამეცნიერო და შემოქმედებითი **ინტელიგენციის** წარმომადგენლებმა მართლაც მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ეკლესიასთან“... (გაზეთი); „მართლმადიდებლური (უნდა იყოს: მართლმადიდებელი, მაგრამ მართლმადიდებლური მოძღვრება) ეკლესია“ და ა. შ.

ახლა ვნახოთ, როგორ მეტყველებდნენ ჩვენი წინაპრები: „...გულით მიხარის, რომ **რუსი საზოგადოების** წინაშე არ შეგვარცხვინეთ... (აკაკი წერეთელი); „მართლაც რა გავარიგეთ, რა გავაკეთეთ **ქართველმა ინტელიგენციამ** საქვეყნოდ“? (ვაჟა-ფშაველა); „ქართული თეატრის დარბაზში შეგროვდა რჩეული **ქართველი საზოგადოება**“ (არჩილ ჯორჯაძე) და მრავალი სხვა.

ერთ დროს რუსულიდან უხეიროდ თარგმნილმა შესიტყვებებმა შვეს ტენდენცია, რომელიც კარგა ხანია, პრობლემად გადაექცა ქართულ ენას. ამ პრობლემას კი გადაგვაჭრევინებს ენათმეცნიერთა ის რჩევა-დარიგება, რომ:

– მსგავს შემთხვევებში მეტწილად გამოვიყენოთ ნათესაობითი ბრუნვა და მაშინ გვექნება: **ევროპის** უშიშროების სისტემა, **სომხეთ-აზერბაიჯანის** კონფლიქტი, **პარლამენტის (პრეზიდენტის)** არჩევნები, **საფრანგეთ-გერმანიის** მოლაპარაკება, **ინგლისელებისა** და **ბურების** ომი, **ევროპის** ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, **სამხრეთ კავკასიის** მილსადენი, **ევროპა-აზიის (ევრაზიის)** დერეფანი, **სოფლის მეურნეობის** პროდუქცია, **ათენის ოლიმპიადა**, **ევროპის** ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენცია, **საქართველოს** მხარე. უნდა ვეცადოთ, რომ შეძლებისდაგვარად დავნერგოთ ეს მართებული ფორმები;

– როცა საჭიროა, გამოვიყენოთ **დანიშნულების** გამომხატველი **სა-ე, სა-ო** თავსართ-ბოლოსართები – **სარედაქციო** კოლეგია, **საკონსტიტუციო** კომისია, **სალიტერატურო** ენა, **სასოფლო-სამეურნეო** სავარგულები (მანქანა-იარაღები) და მისთ.;

– როცა შინაარსი მოითხოვს, გამოვიყენოთ **თვისების** გამომხატველი **ურ (ულ)** ბოლოსართი – **კონსტიტუციური** კანონი (ზედამხედველობა, პრინციპი, წესწყობილება, მონარქია)..., **პარლამენტური** რესპუბლიკა, **რეკორდული** მოსავალი და ა. შ.

ერთ დროს პრეზიდენტის ერთ-ერთ აქტში ჩვეულებრივ ცვლილებათა შეტანისას გასწორდა აგრეთვე ერთი გლობალური დაწესებულების სახელწოდება: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნაცვლად დაიწერა: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. სწორედ ეს ფორმა უნდა მოვიმარჯვოთ ნიმუშად, რათა წესიერად დავალაგოთ სიტყვები მსგავს სახელწოდებებში, და მაშინ გვექნება:

**არა**
საერთაშორისო სამიგრაციო ორგანიზაცია
საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტი
ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო
ფედერალური უშიშროების სამსახური
თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტი
**არამედ**
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი
დაზვერვის ცენტრალური სამმართველო
უშიშროების ფედერალური სამსახური
პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი
და ა. შ.

და კიდევ:

„...თანდებული ჰქვია დამხმარე სიტყვას, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას და სხვ... მდებარეობას აღნიშნავს თანდებულები: **ზე, ში, შუა, შორის, თან;** მიმართულებას: **..იდან, კენ, მიმართ, მდის;** დანიშნულებას: **თვის; თან** ყოფნას: **ურთ... გარდა** იხმარება გამოსარიცხავად... **მიერ** კი აღნიშნავს მოქმედების ჩამდენობას... და სხვ. ჩამდენობას გამოხატავს გარკვეულ შემთხვევებში აგრეთვე ნათესაობითთან ხმარებული **გან:** ძმისგან გამოგზავნილი ბარათი... **გან** აღნიშნავს აგრეთვე მასალას, რომლისგანაც რაიმე კეთდება“...

აკაკი შანიძის ეს დებულება იმიტომ გავიხსენეთ, რომ უმართებულოდ იხმარება ერთის მაგიერ მეორე თანდებული.

მაგალითად, არის შემთხვევები, როცა:

1) **გან**-ის ნაცვლად ვხმარობთ **იდან** თანდებულს. ხიდან კი არა, ხისგან უნდა გამოთალო ჯამი; შეიძლება ესა თუ ის პირი გაათავისუფლო ციხიდან, თანამდებობიდან, მაგრამ ვერ გაათავისულებ მოვალეობიდან, გადასახადიდან, ისევე როგორც ვერ მიიღებ შემოსავალს საქმიანობიდან;

2) დანიშნულების გამომხატველი **თვის** ნაცვლად ვხმარობთ **ზე** თანდებულს: „ერთობლივი საწარმო მონაწილეობას მიიღებს კასპიის შელფის **ათვისებაზე** (უნდა იყოს: **ათვისებისათვის**) გამოცხადებულ ყველა ტენდერში“; „ასევე უნდა მოხდეს პროკურატურის **დაწესებულებაზე** (უნდა იყოს: **დაწესებულებისათვის**) მინიჭებული უფლებების დაკანონება“ და სხვ.

3) ნათესაობითი ან მიცემითი ბრუნვის ნიშნების ნაცვლად ვხმარობთ **ზე** თანდებულს: „ანტიმონოპოლიურ სამსახურს აკისრია... **შესრულებაზე** (უნდა იყოს: **შესრულების**) ზედამხედველობა“; „სიკვდილით **დასჯაზე მორათორიუმის** (უნდა იყოს: **...დასჯის მორატორიუმის**) შემოღება გამოაცხადა“.

მაშასადამე, უნდა იწერებოდეს: მოქმედების კონტროლი, ზედამხედველობა, კოორდინაცია, პურის (საწვავის, მომსახურების...) ფასები, მოგების გადასახადი, სარგოს დანამატი და ა. შ.

4) **ში** თანდებულის ნაცვლად ვხმარობთ **ზე** თანდებულს: „ისინი **სხდომაზე** (უნდა იყოს: **სხდომაში**) მხოლოდ **დამკვირვებელთა** (უნდა იყოს: **მეთვალყურეთა**) სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას“; „ამ **ყრილობაზე** (უნდა იყოს: **ყრილობის**) მონაწილე პარტიები...“; „გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო **სესიაზე** (უნდა იყოს: **სესიაში**) საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა“;



არის შემთხვევები, როცა **ში** თანდებულს უმართებულოდ ვხმარობთ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად: „დაადგინეს **მკვლელობაში** (უნდა იყოს: **მკვლელობის**) მონაწილე პირების ვინაობა. და მისთ.

5) მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად ვხმარობთ ნათესაობით ბრუნვასა და თანდებულად გამოყენებულ **ქვეშ** ზმნიზედას: „კონფერენცია ტარდება გაეროს **ეგიდის ქვეშ** (უნდა იყოს: კონფერენცია იმართება (ეწყობა) გაეროს **ეგიდით**“); „მან გიტარის **აკომპანემენტის ქვეშ** (უნდა იყოს: **აკომპანემენტით** ან: გიტარის **აყოლებით**) იმღერა...“.

არის კიდევ სხვა შემთხვევები, როცა უმართებულოდ ხმარობენ **ქვეშ** თანდებულს: „ჩემი **დაცვის ქვეშ მყოფი** (აჯობებდა: **დასაცავი**) ბრალდებული (განსასჯელი)“;

6) **თვის** თანდებულიან სიტყვას ვხმარობთ **გამო** თანდებულიანი სიტყვის ნაცვლად. „თანამედროვე ქართული მიზეზის გარემოების გადმოსაცემად უპირატესობას **გამო** თანდებულს ანიჭებს. ასე რომ, – **თვის** თანდებულიანი ფორმების გამოყენება ამ ფუნქციით სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გამართლებული არაა.

დასაჯეს, გაასამართლეს, მოხსნეს, საყვედური გამოუცხადეს, დააკავეს, დააჯარიმეს (დავუმატებდით: პასუხი აგებინეს. – **ავტ.**) სემანტიკის ზმნებთან საწყისები უმჯობესია **გამო** თანდებულით ვიხმაროთ...“ („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. წიგნი მესამე, გვ. 216). „ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება **პასუხისმგებელი იყოს** იმ ზოგიერთთა ცოდვების **გამო,** რომელნიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ“ (ილია ჭავჭავაძე).

7.) რუსული сообщит, доложить, уведомить, оповестить, информировать, известить, напомнить, помнить... о ком, о чем, о том ფორმების აშკარა გავლენით უადგილოდ ვხმარობთ – **ზე** (**თაობაზე**), **შესახებ** თანდებულებს.

აი რამდენიმე მაგალითი: „მან იცოდა **ტერაქტის შესახებ** (აჯობებდა: იცოდა **ტერაქტის ამბავი** (ფაქტი) ან: იცოდა, რომ **მოხდა ტერაქტი**); „გაწეული **მუშაობის შესახებ** (უნდა იყოს: **მუშაობის შედეგი**) პერიოდულად მოახსენოს მთავრობას“ (ან: ცნობა (ინფორმაცია) გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად მიაწოდოს მთავრობას)“.

მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში უნდა ვიყენებდეთ შემდეგ მოდელს: **აცნობებენ, ატყობინებენ, მოახსენებენ, აუწყებენ, შეახსენებენ... „რას“** (ფაქტს, ამბავს, გადაწყვეტილებას, შედეგს, შემთხვევას) და არა „**ზე** (**თაობაზე**)“, **„შესახებ“** (შდრ. ცნობა, ინფორმაცია, შეტყობინება, მოხსენება, პატაკი, გადაწყვეტილება... **შესახებ**).

**ოთარ კაპანაძე**

⊙ კრიმინალი

## როდის ისწავლიან ჭკუას მექრთამეები?

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი გიორგი კუპრაშვილი დააკავა.**

**„ბრალდებული კორუფციულ გარიგებაში შევიდა ერთ-ერთ მეწარმესთან, მას დაპირდა, რომ აუცილებლად გაამარჯვებინებდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ 547 778-ლარიანი სამშენებლო ტენდერში, სანაცვლოდ კი მოსთხოვა ტენდერის ღირებულების 25 პროცენტი – 136 944 ლარი. ბრალდებული საგამოძიებო სამსახურმა დააკავა მოთხოვნილი ქრთამის ნაწილის, 10 000 ლარის აღების ფაქტზე. თანხა ნივთმტკიცების სახით ამოღებულია“.**

## თბილისში ინტერპოლით ძებნილი დააკავეს

**თბილისის ინტერპოლის და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად ანკარის ინტერპოლის მიერ 2015 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ე. ჩ. თბილისში დააკავეს.**

**ე. ჩ. დამნაშავედ არის ცნობილი თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის №765 კოდექსის 449/1, 51/2, 59,2 მუხლებით და №5275 კოდექსის 107/12,13ф მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც მკვლელობას გულისხმობს.**

**დაკავებული გადაყვანილია თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორში.**

# სიყვარულს ყველაფრის დაძლევა შეუძლია

## სტივ ჯობსის უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მან სიკვდილის წინ თქვა



**— მე ბიზნესის სფეროში წარმატების მწვერვალების მიღწევა შევძელი. ბევრს მიაჩნია, რომ ჩემი ცხოვრება — ეს წარმატების განსახიერებაა. მაგრამ ვაღიარებ, რომ სამსახურის იქით, ცოტა რამ თუ მაბედნიერებს. და საერთოდ, სიმდიდრე — ეს მხოლოდ ცხოვრების ფაქტია, რასაც შევეჩვიე.**

ვწევარ საავადმყოფოს ლოგინზე და მთელს ჩემს ცხოვრებას ვიხსენებ. ახლა კი მივხვდი, რომ ის სიმდიდრე, რომლითაც ასე ვამაყობდი, ყველანაირი მნიშვნელობა დაკარგა, რადგანაც სიკვდილი მომიახლოვდა...

როდესაც მწვანე შუქს ვუყურებ, რომელიც აპარატიდან მოდის და მისთვის დამახასიათებელ მექანიკურ ხმას ვუსმენ, ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებას და ღმერთის სუნთქვას. ახლა როდესაც საკმარისად გვაქვს ფული, დროა, დავფიქრდეთ ცხოვრების სრულიად სხვა საკითხებზე, რომლებიც სიმდიდრესთან არანაირ კავშირში არაა...

ცხოვრებაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია. შეიძლება ზოგიერთისთვის ეს ურთიერთობებია, სხვებისთვის კი — ხელოვნება, ან ბავშვობის ოცნებები...

**სახელის მოხვეჭისკენ ან ფულისკენ სწრაფვა, ადამიანს მარიონეტად ხდის. ეს მეც დამემართა.** ღმერთმა ჩვენ გრძნობებით დაგვაჯილდოვა, რათა საყვარელი ადამიანებისთვის გვეთქვა, თუ როგორ გვიყვარს...

სიმდიდრე, რომელიც მე ცხოვრებაში მოვიხვეჭე, თან ვერ წავიღებ. ყველაფერს რასაც თან წავიღებ — ეს მხოლოდ მოგონებებია, რომლებიც სიყვარულთანაა დაკავშირებული. აი, ეს არის ნამდვილი სიმდიდრე, რომელიც თან უნდა გქონდეთ, გაძლევდეთ წინსვლის ძალას. **სიყვარულს ყველაფრის დაძლევა შეუძლია.** ცხოვრებას საზღვრები არ გააჩნია. მიაღწიეთ მწვერვალებს, რისი მიღწევაც გსურთ. წადით იქ, სადაც გული მიგიწევთ. ეს ყველაფერი თქვენ ხელშია.

ბევრი ფულით თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ ადამიანები, რომლებიც ყველგან წაგიყვანენ, სამსახურში ან სახლში ყველაფერს გაგიმზადებენ. მაგრამ არავინ არ აიღებს საკუთარ თავზე თქვენს ავადმყოფობებს.

მატერიალური საგნები, რომლებსაც ჩვენ ხელიდან ვუშვებთ, ვკარგავთ, კიდევ შეიძლება ვიპოვოთ, გამოვიმუშაოთ. მაგრამ არის ერთი რამ, რომლის დაკარგვის შემდეგაც, მას უკან ვეღარ დაიბრუნებ. ეს ცხოვრებაა.

არა აქვს მნიშვნელობა რამდენი წლის ხართ და რას მიაღწიეთ. თქვენ ყველას დაგიდგებათ ის დღე, როდესაც ფარდა ქვემოთ დაიწევს...

თქვენი სიმდიდრე — ოჯახის წევრებისადმი, მეგობრებისადმი, ახლობლებისადმი სიყვარულია...

გაუფრთხილდით საკუთარ თავს. გაუფრთხილდით სხვებს...“

# „შიშველი“ რევოლუცია

## ვლადიმერ ლენინი – ნუდიზმის მომხრე

**მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, მანამდეც, ყოფილი სსრ კავშირის ოფიციალური პროპაგანდა პირზე დუჟმომდგარი ამტკიცებდა, რომ „ქვეყანაში სექსი არ არის“.**

მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში გაჩნდა ნუდისტების მოძრაობა, რომელიც ევროპაში მოდაში მე-19 საუკუნის მიწურულს შემოვიდა. **პირველმა დეკრეტის არადა, ისტორიული ცნობებით, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თავისუფალი სექსუალური მოქცევისადმი მიდრეკილება საზოგადოების დიდ ნაწილში ტოლს ამჟამად გაბატონებულ ალვირახსნილობასაც არ დაუდებდა.**




**დიშობილა დემონსტრანტებმა მოსკოვის წითელ მოედანზე 1919 წელს გაიარეს, მათ კოლონას გამოჩენილი ბოლშევიკი კარლ რადეკი მიუძღვოდა.**

— ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, მაშასადამე, ადამიანები ცხოველები არიან, ცხოველები კი სამოსს არ ატარებენ, — აცხადებდნენ „წითელი ნუდისტები“.

გარდა ამისა, ისინი ამტკიცებდნენ, რომ შიშველი სიარული — **ესაა ჭეშმარიტი დემოკრატიისა და საყოველთაო თანასწორობის გამოვლინება. თავად ლენინსაც მიაჩნდა, რომ ნუდისტური მოძრაობა „ესაა სადი პროლეტარული საწყისი“.**

1920-იანი წლების დასაწყისში მოსკოვსა და პეტროგრადში შიშველი მოქალაქეები, ვითომც არაფერი, საზოგადოებრივი ტრანსპორტითაც მგზავრობდნენ, სახელმწიფო დაწესებულებებშიც მუშაობდნენ... „შიშველი რევოლუციის“ პათოსით შეპყრობილი ზოგიერთი ახალგაზრდა კომუნარი ხელისუფლებისგან ქალაქებში არა მარტო საზოგადოებრივი ტუალეტების, არამედ ინტიმური შეხვედრების საგანგებო კაბინების მოწყობასაც მოითხოვდა, რადგან „პროლეტარული ვნება რაც შეიძლება სწრაფად ყოფილიყო დაკმაყოფილებული“. ამასობაში კი მანამდე გაუგონარმა ალვირახსნილობამ ვენერიულ დაავადებათა საშინელი ეპიდემია გამოიწვია. სწორედ ეს გახდა იმის ბიძგი, რომლის შედეგადაც ბოლშევიკებმა სექსუალურ რევოლუციას „წითელი აუნთეს“. 1925 წლის მიწურულს ნიკოლოზ ბუხარინმა გაკიცხა საბჭოური ნუდისტები „ბურჟუაზიული დეგრადაციისთვის“. მას ჯანდაცვის სახალხო კომისარი სემაშკოც შეუერთდა, რომელიც იმის ახსნას ცდილობდა, რომ დედიშობილა სასიარულოდ რუსეთის კლიმატი მაინცდამაინც გამოსადეგი არ არის. მერე მილიციასაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შიშველი მოქალაქეების დაჯარიმების უფლება მისცეს.

ასე მოისპო საბჭოთა ნუდიზმი, თუმცა შემდეგ, სსრ კავშირის „გარდაცვალებამდე“ ცოტა ხნით ადრე, მაინც შეძლო აღორძინება, მაგრამ ეს უკვე უახლესი ისტორიაა.

**ნინო ალექსანდრია**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 9 3 – 3 7 – 8 7

## ცინცხალი ანეკდოტები

— ბიჭო, პეტკა, მგონი, პედერასტი ყოფილა.
— საიდან იცი?
— საჯდომით ვგრძნობ.

* * *

— ეს ორი ტელეფონი რით განსხვავდება ერთმანეთისგან?
— ერთი ფოტოაპარატია, მეორე — დიქტოფონი.

* * *

— განწყობა უნდა გაგიფუჭოთ, თქვენი გოგო გუშინ კლუბში დათვრა.
— იტყუები! გუშინ მას პირში არაფერი ჩაუდია!
— ეეე, ეტყობა, მეორედაც გაგიფუჭებთ განწყობას.

* * *

— მიხო, მამაშენი გცემს ხოლმე?
— არა. მე ძმებში ყველაზე უმცროსი ვარ და სანამ ჩემამდე მოვა, მამაჩემს უკვე სიქა გაცლილი აქვს.

* * *

კითხვა: რუსეთის ღერბზე აღბეჭდილი არწივის თავები სხვადასხვა მხარეს რატომ იცქირებიან?

პასუხი: მესამეს ეძებენ.



— ექიმო, მიშველე, გადამარჩინეთ! ძალიან ბევრ ფულს მოგცემთ, ოღონდ გადამარჩინეთ!
— არა, ჩემო კარგო, ასე არ გამოვა. ფული წინასწარ გადაიხადეთ! თორემ ვიცი მე თქვენი ამბავი — დაეხმარები ადამიანს და არანაირი მადლიერება სამაგიეროდ! ისეთი სახით წვანან კუბოში, თითქოს არც გიცნობდნენ!

* * *

— სად დადიხართ სოკოებისთვის?
— მეზობლის ბალკონზე.
— მათ რა, იქ მოჰყავთ სოკო?
— არა, იქ აშრობენ.

**გამოიწერეთ:**
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

*გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!*